

# სამეგრელო

№7 (54) 1.07.2016 - 1.08.2016

ფასი 2 ლარი

ყოველთვიური გამოცემა

**ოჯახი, სადას  
სიყვარულის  
ჰიენი  
დაიწარა**



გვ. 6

**ქაბუი  
სურსილაგაბი**




გვ. 2

**„გულის ელენიკი“  
ქანა  
საბასტანიუვილი  
სასალსო  
პრეპარატი  
სალსის  
სამსახურე**



გვ. 10

**უპრინი  
საგუგუგუს  
წიგნი**



წახსული თა  
თანამედრე

გვ. 28

**ჭაგაუა ამირაჯიბი  
„დათა  
თუთახსია“  
სამაგიდო  
წიგნი**



გვ. 22

**გაქან სინარულიკა  
ამაგაბი  
ჰოლივუდიდან**



**რა გადაგვარჩენს ქართველას,  
პოლიტიკური ამბიხიეაბი, თუ  
ჭაგამარიტაბის გოლომდა გახსნა?**

გვ. 14

**რმენა-ნარმოდგენეაბი  
სამაგრალოში**



გვ. 26

*ნახეჯა  
კამახიძე*

**მეგობრის სპ**

ISSN 1987-8524

9 771987852005

**სრულიად საქართველოს სწვდაბა**



# მსახიობი და ტექნოლოგიის ჰიტი ჰოლივუდში, ტომლის ცისკრით საცხატო უღელდნ მტყინდებ

## ბექა სიხარულიძე

ქართული მხიობი ენაა?  
ქართული ქართული ხმენაა,  
ბეჩია, ბეჩისნეხაა  
მზე ხოა, იმოყენაა!

სწორედ, რომ მზისოდენა ქართველობა, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან კაშკაშებს, ანათებს და ბრწყინავს. ქართული სულით, გულით, გრძნობით და გონებით ცხოვრობს სულით ხორცამდე ქართველი მსახიობი და რეჟისორი ბექა სიხარულიძე ჰოლივუდში. უცხო მიწაზე ღირსეულად სჩქედს ქართული სისხლი, საქმეს ქართულად აკეთებს, ოჯახი ქართული შექმნა და ყოველი დღის ცისკრის ვარსკვლავი მისთვის საქართველოდან ბრწყინდება. ბექა წლების მანძილზე ლოს-ანჯელესში ცხოვრობს, მაგრამ ამერიკის პატივისცემის მიუხედავად როგორც დიდი აკაკი იტყოდა, „გულს ასვენია ქვეყანა“. ამიტომ დღემდე მშობელმა მისი წილხვედრი მიწიდან აფრენილ ახალგაზრდა შემომქმედს გზა დაულოცა და უფლის შენეებით დღეს იგი ჰოლივუდის შემდგარი მსახიობი, რეჟისორი და პროდიუსერია.

მაშ ასე, რუბრიკის სტუმარია ბექა სიხარულიძე.

— ბატონო ბექა, როგორც ვიცით თქვენ მიერ გადაღებულმა მოკლემეტრაჟიანმა ფილმმა ამერიკაში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალებზე 7 გამარჯვება მოიპოვა, მოლოდინი იმისა, რომ თქვენი რეჟისურით კვლავ არაერთ საინტერესო ფილმს ენახავთ, დიდია. რას აპირებთ მომავალში?

— დიახ, ჩემმა გადაღებულმა ფილმმა „ბაბუს მევალე“, რომლის სცენარიც მამაჩემის მოთხრობის „ბაბუს მევალეს“ მიხედვით მე თვითონ დავწერე, ამერიკის სხვადასხვა შტატებში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალებზე 7 გამარჯვება მოიპოვა, რისთვისაც ამერიკის კინომატოგრაფიის მესვეურების და ფიურის წევრების დიდი მადლობელი ვარ. ამავე დროს „ევროკანალმა“ ჩემი ფილმი ორი წლით შეისყიდა და მას ახლა მთელი მსოფლიო უყურებს.

რა თქმა უნდა ამ გამარჯვებებმა დიდი სტიმული მომცა შემდგომი ჩემი მოღვაწეობისა კინოსამყაროში.

დეკემბერში ვაპირებ ჩემი ახალი სცენარის მიხედვით სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის გადაღებას.

— გადაღება სად იქნება?

— ვფიქრობ გადაღებები გაიმართება თბილისში.



— რაც შეეხება მსახიობებს, თუ ვყავთ შერჩეული მთავარი როლის შემსრულებლები?

— რა თქმა უნდა მყავს. მაგრამ დროთა განმავლობაში შეიძლება როლები გადანაწილდეს. ჯერ-ჯერობით არცერთი მსახიობი როლზე საბოლოოდ დამტკიცებული არ მყავს. ენახოთ რა მოხდება მომავალში.

— ამის გარდა, რა სიახლეა თქვენს ცხოვრებაში?

— სულ ცოტა ხანში იწყება ახალი მხატვრული ფილმის გადაღება სტალინზე. ჰოლივუდის ორმა პროდიუსერმა შემომთავაზა აღნიშნული ფილმის პროდიუსერობა და ერთ-ერთი როლი. თავიდან უარი ვთქვი, რადგან არასდროს მინდოდა მიმელო მონაწილეობა ისეთ პროექტში, რომელიც ქართველ ადამიანს უარყოფითად წარმოაჩენდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პოლიტიკოსის მიმართ წაყენებული ბრალდებების 80%-ს ვიზიარებ. მაგრამ როდესაც გავიგე, რომ სრულიად სხვა შინაარსის სცენართან მქონდა საქმე, სადაც მხოლოდ მისი ბავშვობაა აღწერილი, შემოთავაზებას დავთანხმდი.

სულ მალე დავიწყებ ამ ფილმის გადაღებას, ამერიკელ პროდიუსერთან და კინორეჟისორთან ერთად.

გადაღებები იქნება როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე საქართველოში, სტალინის მშობლიურ ქალაქ გორში.

— გმადლობთ საინტერესო ინტერვიუსთვის. გისურვებთ წარმატებებს.



ახალგაზრდა სტალინი 1902 წელი

# ს ა რ ჩ ე ვ ი



## ნინო რეხვიაშვილი

ძმები ხურცილავები ..... 2

## ნინო რეხვიაშვილი



ჩემი ერთადერთი სამშობლო  
საქართველოა ..... 5

## ნინო რეხვიაშვილი



ოჯახი, სადაც სიყვარულის ჰიმნი  
დაიწერა ..... 6

## ნინო რეხვიაშვილი



გულის ელექსირი —  
სახალხო პრეპარატი ხალხის  
სამსახურში ..... 10



შალვა (ჯამუ) გარუჩავას  
ვარსკვლავი სენაკში ..... 13

## კუკური ფიფია



რა გადაგვარჩენს ქართველებს,  
პოლიტიკური ამბიციები, თუ ჭეშ-  
მარიტების ბოლომდე გახსნა?.... 14



## შოთა ნიშნიანიძე

აფხაზური კანტატა ..... 17

## ეთერ მატყა



ია ქეცბაიას ..... 18  
ჯუმბერ ქეცბაიას ..... 18  
ბესომ ტყუფებს ..... 20  
გიორგის ვაგაჭყორდ ლევან  
ბიძიაქ ..... 20

ჩქიმ მზახლევს — ბორისოს და  
ზაირას ..... 21

## ჭაბუა ამირეჯიბი



„დათა თუთაშხია“  
სამაგიდო წიგნი ..... 22

## გივი სიხარულიძე



ღვთის შვილები ..... 24  
ხიბლია და ნიბლია ..... 25

## ნათელა კაპანაძე



რწმენა-ნარმოდგენები  
სამეგრელოში ..... 26

## მაია გელიაშვილი



ერის სამზეოს წიგნი ..... 28

## ლეილა ნოდია

ისტორიულ-გეოგრაფიული  
ფრაგმენტები  
სამეგრელოში ..... 33



ქართველი კადეტი  
სანდრო გულუა ..... 35



ზუგდიდი სრულიად  
საქართველოს ამცნობს ..... 36



ქალაქ ზუგდიდის მერია  
ხალხის სამსახურში ..... 38



კონფერენცია  
ტაო-კლარჯეთში ..... 40

მთავარი რედაქტორი —  
**ნინო რეხვიაშვილი**

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —

**გონა გუტაშვილი**

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა

**დალი ჯვარციანიძე**

ტექსტი ააწყო

**თამარ გოზინაძე**

კორექტორი

**ქეთევან ნახნაძია**

მისამართი: თბილისი, ლესელიძის

ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10

ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №27,  
მე-2 სართული, ოთახი №3, ტელ.: 790 74 68 10  
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

**მვირფასო მკითხველო!**

გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული  
მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს  
ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს,  
მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის  
შემკვეთს ეკისრება.

**ჟინანდი მასალების  
მართვაშია ფასიანი!**



# ძეაზი სურსილავეზი

*„შენს საკვლევებსაც და ჩემს საკვლევებსაც  
ჩვენი ძმობის სინშიზრაც სჭიმია“*



**მშობლები: მიხეილ სურცილავე და  
ლენა კალანდია**

უხსოვარი დროიდან ჭყონდიდი წარმატებული რელიგიური ცენტრი იყო. მაღალ ბორცვზე იდგა ხომონი, ჭყონის (მუხის) უზარმაზარი ხე. იგი წარმოადგენდა ნაყოფიერების, გამრავლების და ოჯახის კეთილდღეობის მფარველ კაპუნიას

წარმართულ სალოცავს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა თაყვანს სცემდა. პირველი ეკლესია სწორედ აქ მდებარე მუხის ადგილას აშენებულა (თარიღი უცნობია) ანდრია პირველწოდებულის სახელზე, რომელმაც სამეგრელოში ქრისტიანობა იქადაგა. მე-7 საუკუნეში აშენდა მარტვილ-ჭყონდიდის ტაძარი, რომლის ტრაპეზი დაფლულ სინმინდეს — მოჭრილ მუხის ფესვებს დაეფუძნა.

აი, ამ ტრადიციით გაიზარდნენ ძმები ხურცილავეზი, რომელთათვისაც ოდა ბადისა და ადგილის დედის სიყვარულმა, ანდრია პირველწოდებულის მაღლმა გონება მართლმადიდებლური, ზნეობრივი ცხოვრებისაკენ მოუმართათ და მათ უპირველეს საფიქრალად ბიზნესიდან ნაშოვნითანხის საეკლესიო მშენებლობებისა და აღდგენით სამუშაოებში დაბანდება აქცია.

ვინ არიან ძმები ხურცილავეზი, საიდან მოდიან და რა არის მათი მთავარი ნიშა?

ვიდრე ამ თემაზე ვისაუბრებდეთ, ერთ საინტერესო ფაქტზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება. როდესაც მასალის მოსამზადებლად



**პაატა ხურცილავა, მეუღლე — მაია კოკია, შვილები: ანა, ელენე, გიორგი**

ბატონ პაატას შევხვდი, წინა ღამით შემთხვევით ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე გადავრთე, „დათა თუთაშხია“ გადიოდა. კვლავ არაერთხელ განცდილი გრძნობა, ქართველობის სიმალის შეგრძნება დამეუფლა და ვთვლი, რომ ჩვენი უდიდესი საუნჯის „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად „დათა თუთაშხიაც“ სამაგიდო წიგნია, საიდანაც ცხოვრების უშრეტი სიბრძნე იღვრება. რომლის არცერთი სიტყვა ყურადღების მიღმა დასატოვებელი არ არის.

როდესაც მუშნი ოჯახში დათასთან შესახვედრად მივიდა, იქ გამართული სცენა ალბათ ყველას გახსოვთ, მაგრამ ძმობის შესახებ დათას მიერ თქმულ ფრაზას რაოდენ მიაპყარით ყურადღება, არ ვიცი; — „შენს საკეთებელსაც და ჩემს საკეთებელსაც ჩვენი ძმობის სინმინდე სჯობია, მუშნი“.

— რაოდენ დიდი სიბრძნეა ამ წინადადებაში, ახლა კი რეალურად რა მოხდა! ჩემთან საუბარი რესპონდენტმა პაატა ხურცილავამ სწორედ ანალოგიური მნიშვნელობის ფრაზით დაიწყო. „ჩვენ სამი ძმა ვართ, დღემდე გაყოფილი არაფერი გვაქვს, ერთად ვშრომობთ, ერთად ვცხოვრობთ, ერთი პრინციპი გვაქვს, ძმები ხურცილავები ეს ჩვენი ბრენდია“. — აფერუმ მიხეილ და ლენა ხურცილავებს. მათმა გაზრდილმა შვილებმა კარგად იციან, რომ ყველა საკეთებელს, რაც არ უნდა შეემთხვეთ ცხოვრებაში, ძმობის სინმინდე სჯობია. ძმობის, რომელსაც წმინდა სანთელივით უფრთხილდებიან. ასე აღიზარდნენ, ასე შთააგონეს, ეს იყო ოჯახის იდეოლოგია.

კვლავ ჭაბუა ამირეჯიბს შეგახსენებთ:

„ზოგი ადამიანი იქნებ ყველაფრით, ათასი საუკეთესო ღირსებით იყოს შემკული და მათი

სწორად გამოყენების უნარი კი არ გააჩნდეს, ღირსებები ერთი მონაცემია, მათი სწორად გამოყენების უნარი-მეორე“.

ძმები ხურცილავები ღირსებით, ზნეობით, მორალით უხვად დაუჯილდოებია უფალს, რომელსაც სწორედ, რომ მიზანმიმართულად, უხვად აფრქვევენ ირგვლივ და თავიანთი ქველმოქმედებით, სხვათა თანადგომითა და მხარდაჭერით ბრწყინავენ და ოჯახს ოქროს გვირგვინს ადგამენ. დათა ფიქრობდა: „როგორც გინდა იყოს საქმე, სიყვარულით თუ არ მიუდექი — ვერ მოერევი“ — ეს კარგად იციან ძმებმა ხურცილავებმა, ყოველი მათი გადადგმული ნაბიჯი გულის, გრძნობის და გონების ნაკარნახევია.

„თავში მიზნების განხორციელების დროს ამა თუ იმ ილეთის ჩატარების შესაძლებლობას მოკლებული ადამიანი წააგავს ხეიბარს, რომელიც, ცალხელაა და თავის ყველა წარუმატებლობას მხოლოდ ამით ხსნის: ცალხელა არ ვიყო, კურდღელს დავეწეოდი და გადავასწრებდიო! ეს ამა თუ იმ უნარს მოკლებული კაცის ფილოსოფიაა, ფილოსოფია, რომელიც ძმები ხურცილავებისთვის უცხო და მიუღებელია. მათ საქმე წინასწარ მიზანმიმართულად არასდროს უკეთებიათ, არ უფიქრიათ ამას რა მოჰყვება. ისინი მორალითსაზღვრავენ საკეთებელს, გულის კარნახს აყოლილნი ხელიხელჩაჭიდებული მიუყვებიან სიკეთის გზას. როგორც ვაჟა იტყოდა: „მარტო წვრთნა ვერას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველაო“.



**ალექსანდრე ხურცილავა, მეუღლე — სალომე კოდუა, შვილები: მარიამი, მიხეილი, თამარი, ნიკოლოზი**

მართალია მშობლები განსაკუთრებულად ზრდინდნენ შვილებს: სწავლა, შრომა, პატიოსნება იყო მათი ძირითადი არსი, მაგრამ თუ ახალშობილს იმთავითვე დაჰყვება ზნეობრივი თვისებების



ავთანდილ ხურცილავა, მეუღლე — ირენა ბარკალაია, შვილები: ნინო, ანდრია, მათე

ჩანასახი და ამ ჩანასახის ზრდა-განვითარებაც, ეს კიდევ ხომ საუკეთესო შემთხვევაა, შემთხვევა, რომელიც ძმები ხურცილავების შემთხვევაში რეალობად იქცა. მათ კარგად იციან, რომ ოჯახის შვილობა, ერის შვილობა, ქართველ კაცობა უპირველესია.

მარტვილის რაიონში სოფელ ბალდაში დაირწა მათი აკვანი; პაატა, ალექსანდრე და ავთანდილი მეგრული ნანითა და საჭყონდიდოს მადლით კოლხურ მინაზე დაფრთიანდნენ, აქვე დაამთავრეს სკოლა და უმაღლეს სასწავლებლებს მიაშურეს. ეს ის პერიოდია, როცა სამეგრელოში 90-იანი წლების სიძიმე წელში სწყვეტს ადამიანებს. ძმებმა უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ გეზი რუსეთისკენ აიღეს. ასე გადაწყვიტა საოჯახო სათათბირომ! — გასცლოდნენ უსამართლობას, სწორი გზით ეცხოვრათ და გარკვეული დროის შემდეგ, (და ეს დრო 25 წელს გასტანა), ხელდამშვენებულნი დაბრუნებოდნენ მშობლიურ ქვეყანას. მათ კარგად იციან, რომ „ოჯახის სახელი სუფთა უნდა დარჩეს ხალხის და მომავლის თვალში. შენს სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო, სამშობლოს გარეთ ერის დესპანი. რადგან შენი საქციელი შენი ოჯახის სახეა და გარეთ — შენი ერის! სწორად ცხოვრება თუ გინდა — ეს არის“. — ასე არიგებთ მამა დათას და მუშნის და ეს ჩაუნერგეს შვილებს მიხეილმა და ლენამ.

ძმების ცხოვრება წარმატებული აღმოჩნდა. უფალი მხარში დაუდგათ და თავმდაბლობითა

და კეთილშობილებით ბიზნესში წარმატებებს მიაღწიეს. რამაც საშუალება მისცათ, ის რაც გულით სწადდათ პრაქტიკულად ეკეთებინათ.

მათი ბავშვობის ოცნება იყო სოფელში ტაძარი აღედგინათ და მასთან მისასვლელი გზა გაეკეთებინათ. ოცნება ახდა. რამდენიმე წლიანი შრომის შემდეგ დღეს იმ ადგილას სამონასტრო კომპლექსია და წირვა-ლოცვაც აღევლინება.

ჭყონდიდის ეპარქიაში მოგეხსენებათ უამრავი ეკლესია იყო აღსადგენი თუ ასაშენებელი. ჭყონდიდის ეპარქიის მღვდელმთავრის მეუფე პეტრეს კურთხევით მათ არაერთი ეკლესიის აღდგენასა და მშენებლობაში მიიღეს მონაწილეობა.

მარტვილის რაიონში 90-იან წლებში დაინგრა ისტორიული შენობა, გიმნაზია, სადაც სწავლობდნენ ამბროსი ხელაია, თოფურია და სხვა ცნობილი ადამიანები.

ძმებმა ხურცილავებმა გადაწყვიტეს სკოლისთვის პირვანდელი სახე დაებრუნებინათ, დღეს მათი წყალობით იმ ადგილზე უკვე ფუნქციონირებს საშუალო სკოლა „სხივი“, რომელიც თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს სრულიად აკმაყოფილებს, აღსანიშნავია ძმების თანადგომა დავრდომილი, უმწეო ადამიანების მიმართ, მათთან თხოვნით მისული ადამიანი განბილებული არასდროს რჩება, უამრავი შენარჩუნებული ჯანმრთელობა, გადარჩენილი სიცოცხლე, მოხუცთა თავშესაფარის ბინადართათვის გალამაზებული არაერთი დღე და სხვა და სხვა უამრავი.

სწორედ მათზე უთქვამს მარტინ ლუთერს „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“.

როგორც გრაფი სეგედი იტყოდა: „სიკეთე ის არის, რაც ყველასთვის კარგია, მადლი ქენი, ქვაზე დადე და შედეგს არ დაელოდო, — ნადი, სხვა მადლი ჰქენი, სიკეთეც ეს არის და მისი თესვის აუცილებელი პირობაც“, პირობა, რომელიც ძმებს ხურცილავებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. არც ის არის შემთხვევითი, რომ მათი ცხოვრების ფიზიონომია ჭაბუა ამირეჯიბის სიბრძნის თანხლებით განვიხილე. მათი ძმობის სინმინდეს ლამაზი ოჯახები ამშვენებს. სახელოვანი რძლები: მაია კოკაია, სალომე კოდუა, ირენა ბარკალაია. შვილიშვილები: ანა, ელენე, გიორგი, მარი, მიხეილი, თამარი, ნიკოლოზი, ნინო, ანდრია, მათე.

აფერუმ ხურცილავების აღმზრდელ ოჯახს, მშობლებს, ოდა ბადეს.

აფერუმ თქვენს ძირძველ კოლხეთს, ასეთი „სკუა“ ვაჟკაცების დაფრთიანებისთვის.

**ნინო რეხვიაშვილი**

# ჩვენი ერთადერთი სამშობლო საქართველოა

საქართველოს და ისრაელის ისტორიული წარსული მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

ისტორიის მრავალმა ქარტეხილმა გადაიარა ორივე ერის თავზე. არ დაკლებიათ მტერთაგან შევიწროება და რბევა, ნგრევა და დევნა, ცეცხლითა და მახვილით გასწორება... ბედმა მათ მძიმე ხვედრი არგუნა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის და მაინც ვერ მოდრიკა მათი ვაჟკაცური სული. ვერ დაიმორჩილა მათი უმაღლესი ბუნება და მომავლისკენ სვლა, ოცნება უკეთეს მერმისზე.

მიუხედავად რჯულის სხვადასხვაობისა, ქართველებსა და ებრაელებს ერთმანეთი უყვართ და პატივს სცემენ. აზვირთებულ მსოფლიო მღვრიე დინებას არ უერთდება მათი თავანკარა სიყვარულის წყარო, რომელიც გადმოჩქეფს, ერთგულებისა და სიყვარულის ენაზე გვეჩუქრულებს.

ნაბუქოდინოსორ მეორისგან (ძვ.წ. 604-562 წ) დარბეული იერუსალიმიდან სხვადასხვა ქვეყნის კუთხეებში იძულებით განთესილი იუდეველი ებრაელების ერთი ნაწილი, ბედმა ქართულ მიწაზე გადმოისროლა, კერძოდ, ისინი ქართლში - მცხეთის მიდამოებში შემოვიდნენ. მეორე ნაკადი ებრაელებისა, ქართულ მიწაზე ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში დასახლებულა.

600 წლით ადრე ქრისტეს შობამდე, საქართველოში ჩამოვიდა ებრაელი ერის ერთი ნაწილი ელია წინასწამეტყველის ხალენით, რომელიც ერთ-ერთი სინმინდგა ორივე ერისთვის.

ებრაული ენის ცოდნა „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, შორეულ წარსულში, ქართველ მეფეთა განათლების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს შეადგენდა. „და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესენი ყოველნი ნათესავნი და იზრახებოდა ქართულსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული“. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ქართლში ებრაელთა დამკვიდრება



უნდა ყოფილიყო, ქართულ მიწაზე დასახლებიდან საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნეს მშობლიური ენა, სხვადასხვა კუთხეში, თუ სამშობლოში მცხოვრებ თანამოძმეებთან ურთიერთობა.


ცოტა ხნის წინ, გივი სიხარულიძის საავტორო გადაცემის სტუმარი გახლდათ ალექსანდრე მინიდან, ისრაელიდან ჩამოსული სტუმარი ბატონი ლევან ბარდანაშვილი, რომელიც 45 წლის წინ წავიდა თავის ისტორიულ სამშობლოში, მაგრამ დღემდე თამამად აცხადებს, რომ „ჩემი ერთადერთი სამშობლო საქართველოა, კაცს არ შეიძლება ჰქონდეს ორი სამშობლო, სამშობლო ერთია — ადგილი, სადაც დაიბადე და გაიზარდე, სადაც დაიწა შენი აკვანი“.

ბატონი ლევანი წარმოშობით ბანძიდანაა. საქართველოში ჩამოსვლისას ყოველთვის სტუმრობს მშობლიურ კუთხეს, ბანძას, ეფერება იქაურ ხეს, ქვას, ბალახს. ისრაელში ცხოვრობს და ქართული მინის სურნელით სუნთქავს, ქართულად ფიქრობს, ოჯახიც ქართული შექმნა, მეუღლეს ქართველი ებრაელია, მირელაშვილის ქალბატონი. ჰყავს ორი შვილი: ბადრი და ლია. ბადრი ისრაელის გმირია, ლია კი დიპლომატიური კორპუსის წამომადგენელი.

ძმობის მადლით გაბრწყინებულს გველოთ მუდამ ამ მზისქვეშეთში, ბატონო ლევან.

# შოთა ჯაფარიძე 70 წლისაა

## ოჯახი, სადაც სიყვარულის ჰიმნი ღაიწვია



შოთა 3 წლის

მას შემდეგ შვიდი ათეული წელი გავიდა. სოფელ კვაშხეთში ზაფხულის მწველი სიცხე ნაკლებად იგრძნობოდა. გრილი სიო უნმენდა სამშობიარო ოფლს მელოგინე ქალს, შვილის მოლოდინით აღელვებული მამა ვლასი ჯაფარიძე ბოლთას სცემდა. უცებ სიჩუმე ბებია ქალის შეძახილმა დაარღვია, ბიჭია, ბიჭი... გახარებული მამა სიხარულით ცას ეწია. მელოგინე, ნინა ქოქოსაძე თავადაც ექიმი იყო. ახლა უკვე ბედნიერი დედა დაჰყურებდა ახალშობილს და უფალს შემწობას სთხოვდა, „ღმერთო, გამიზარდე ჩემი ბიჭი“, ბავშვს შოთა დაარქვეს.

ქალბატონი ნინა თბილისში გაიზარდა, წარმოშობით ზნაკვიდან იყო. ფიზიკა-მათემატიკის


სპეციალობით სწავლობდა. თუმცა ექიმობის სურვილმა სძლია და მეორედ სამკურნალო ფაკულტეტზე ჩააბარა.

ახალგაზრდა სპეციალისტი განაწილებით რაჭაში მიავლინეს. იქ გაიცნო ვლასი ჯაფარიძე, რაიონში სახელოვანი ვაჟკაცი, ლამაზი, ახოვანი, ინტელიგენტი ადამიანი. პროფესიით პედაგოგი იყო. უშიშროებაში მუშაობდა. ერთი პერიოდი მილიციის უფროსიც გახლდათ. ყველას უყვარდა, ყველა პატივს სცემდა. განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენიებდნენ ებრაელები.

ქალბატონმა ნინამ და ბატონმა ვლასიმ შექმნეს ლამაზი ოჯახი. დაფუძნდნენ კვაშხეთში, ზრდიდნენ ერთ ვაჟს, პატარა შოთიკოს, ნინა ექიმი



შოთა დედასთან ერთად



შოთა მამასთან ერთად

მთელი ხეობის ერთადერთი მხსნელი იყო. ყველა პროფილი შეთავსებული ჰქონდა, ფეხდაფეხ დადიოდა პაციენტებთან. ნინა ექიმი ცხენზე ამხედრებულიც ბევრს უნახავს.

აი, ასეთი მშობლების მაგალითზე იზრდებოდა პატარა შოთა, რომელსაც ბავშვობიდან ნიგნის სიყვარულს, პატიოსნებას, ერთგულებას შთაუ-ნერგავდნენ. 6 წლის იყო როცა მამას სანადიროდ და სათევზაოდ დაჰყავდა. კლასში 6 მოსწავლე იყვნენ, ექვსივე წარმატებულები. სკოლა ვერცხლის მედალზე დაამთავრა და სწავლა სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძო. სტუდენტობა პლებანოვზე, იტალიერ ეზოში გაატარა. სადაც თავს იყრიდნენ ამ დროის პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდები. შოთას სახლის წინ, რაჭველების სასაბუღალტრო ყოფილა, სადაც შოთა ხშირად სტუმრობდა ხოლმე. ბეჯითმა და ნიჭიერმა შვილმა მშობლებს ამაგი დაუფასა, დღეს, მათი მადლიერია, ამბობს — როცა უცხოეთში მივლინებით წასვლა მიხდებოდა, ხშირად წასეს-ხები ფულით დავდიოდი, მამამ კვაშხიეთში სახლიც კი გაყიდა, ოღონდაც მე საფუძვლიანი ცოდნა მიმეღო. III კურსზე იყო, როდესაც მის მომავალ მეუღლეს, ქალბატონ ლალის შეხვდა. დაოჯახდ-ნენ. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, სტუდენტები მშობ-ლების გამოგზავნილი 500 მანეთით ბედნიერად გრძნობდნენ.

და აი, უკვე 50 წელი მას შემდეგ. 28 ივნისს შემდგარი ქორნილი სიყვარულის ლიბრეტოდ იქცა. ფორმულა, რომელიც ლალიმ და შოთამ 5 ათეულ წლიანი თანაცხოვრებით დაამტკიცეს, შეუდარებელი და სამაგალითოა. მსგავსი რამ არსად მინახავს და არსად მსმენია. ეს არის სიყვარულის ღალადისი, ლეგენდა, აბსოლუტური სინამდვილე. — „ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი, ბედნიერი

ქალი ვარ“, — ამბობს 50 წლის შემდეგ ქალბატონი ლალი და თვალზე სიხარულის ცრემლი უბრწყინავს — უბედნიერესი ვარ, თითქოს დღეს შევხვდით ერთმანეთს, არა და მას შემდეგ 50 წელი გავიდა. ერთმანეთის გარეშე ვერ ვძლებთ, სულ ერთად ვართ, მაინც სულ ერთმანეთს ვეძებთ, მინდა ჩვენი აღსასრულის ჟამს, როცა ეს დრო მოვა, იმ ქვეყნადაც ერთად წავიდეთ“.

წყვილი ახლაც შეყვარებულია, ისე, როგორც 50 წლის წინ, იქნებ მეტადაც?!

ქალბატონი ლალი ისეთივე ლამაზი და მომხიბვლელია, როგორც იყო პატარა 19 წლის გო-გონა, როცა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტს შოთა ჯაფარიძეს მოეწონა... ეს სიყვარულის ბალადა ჯაფარიძეების ნათესავის დაბადების დღიდან დაიწყო, პატარა, ცქრილა გოგონა ლალი, ჯერ კიდევ სკოლის მოწაფე, დაბადების დღის სტუმარი გახლდათ. აქვე ბრძანდებოდა მალა-მალა, ლამაზი, წარმოსადეგი, მოკლედ აჭრილი თმით ბატონი შოთა ჯაფარიძე — „პირველად მისი თითები დავინახე, როცა ჭიქას ხელი მოკიდა, რალაც იდუმალი ვიგრძენი, ულამაზესი ხელი და თითები



50 წლის წინ... 28 ივნისი.

**შოთას და ლალის ხელის მოწერის ცერემონიალი**

ჰქონდა, მაშინვე ვთქვი, რომ ეს ის იყო...“ — თითებით მოწონება გახდა ბატონი შოთას შეთავაზების თანხმობის საფუძველი. აქედან გაღვივდა სიყვარულის ნაპერწკალი, რომელიც 5-6 თვეში ქორწინებით დაგვირგვინდა. დღეს წყვილი შოთა და ლალი, ლალი და შოთა ახლადდაქორწინებულ ცოლ-ქმარს ჰგავს. ერთმანეთის მოფერებითა და თანადგომით შექმნეს და ააშენეს ულამაზესი, მყუდრო, წმინდათა წმინდა ოჯახი, ოჯახი, სადაც მხოლოდ ერთგულება და სიყვარულია. მათ ორი შვილი ჰყავთ: ირმა და ნინიკო. მოსიყვარულე მამამ შვიდი თვის პატარა ნინოს ზაფხულში, რაჭაში ყოფნის დროს თურმე ასეთი სტრიქონები მიუძღვნა:

„შენ ჩემო ცისფერთალა  
კალმით ნახატო ფერია,

ციური ანგელოზები  
სასთუმლის თავთან ვფენია,  
იბინე, ტკბილად იბინე,  
გულს დარდი ნუ ჩავრჩენია.  
ჩემი ცხოვრების ვარდი ხარ  
თუ ციური ხარ ნათელი,  
მუდამ სულ თვალწინ მიდგეხარ,  
ჩემი ცხოვრების სანთელი,  
იბინე, ტკბილად იბინე,  
თავს ვედვას ცისა ნათელი.“

*(ეს ბატონი შოთას მიერ დანერილი პირველი ლექსია, რაც შვილის სიყვარულმა ათქმევინა).*

ირმა მშობლებთან ერთად ცხოვრობს, ნინიკო კი ამერიკაშია, ჰყავს მეუღლე, ამერიკელი ჯოუბ ჰენინგი — პოლიგლოტი, დოქტორი და სამი შვილი — 11 წლის ელენ-მარი, 10 წლის ოდრი-სოფია და 5 წლის ჯესი-საბა, სამივეს ორ-ორი სახელი ჰქვიათ, ბავშვებს ძალიან უყვართ საქართველო, ქართული ესმით, ლაპარაკი ცოტა უჭირთ, მაგრამ დედის წყალობით საქართველოს ხშირად სტუმრობენ და ყველაფერი წინ აქვთ. რაც შეეხება სიძეს, მისტერ ჯოუბმა მეუღლის „მონაფეობით“ ჩინებული ქართული ისწავლა თურმე, საგულისხმოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ სიძის მშობლებსაც კი საოცრად შეყვარებიათ საქართველო, რაჭა, ქართველები და ხშირად სტუმრობენ კიდევ...

ეს რაც შეეხება ნინიკოს ოჯახს, ხოლო ის, რომ სამი შვილის აღზრდასთან ერთად ახალგაზრდა ქალმა უმაღლესი დონის განათლება მიიღო, ცალკე თემაა...

ნიჭიერმა, ბეჯითმა, მიზანსწრაფულმა გოგონამ, თანაც გამორჩეული მშობლების შვილმა, აღზრდა-

განათლების ისეთი შთამბეჭდავი გზა გაიარა, რომელსაც უნდა მოეყვანა კიდევ ოქსფორდამდე... ნინიკომ 1989 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა თსუ-ის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. ნიჭი, სიბეჯითე, მიზანსწრაფულობა... ჰო, მაგრამ ამასთანავე ნინიკოს დროშიც გაუმართლა. იმხანად ხომ უცხოეთში აფარებული რკინის ფარდა გაიხსნა და გოგონამ პროექტებით, პროგრამებით, თხზულებებით ისე გააკვირვა საზღვარგარეთი, რომ მოხიბლულმა ამერიკელებმა ილინოისის შტატის პრესტიჟულ კოლეჯში მიიწვიეს ოთხწლიანი სწავლის მთლიანი დაფინანსებით. ასე გახდა ნინიკო ჯაფარიძე ბაკალავრი პოლიტოლოგიისა და ეკონომიკის განხრით. იმ კოლეჯს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი მოჰყვა, რომლის დამთავრებამ პოლიტოლოგიის მაგისტრობა მოუტანა.

ნინო სწავლის პარალელურად ახერხებდა სხვადასხვა სფეროში საქმიანობას: 1992 წლის ზაფხულში კარნეგის მშვიდობის ფონდის ინტერნია; 1994-95-ში ეროვნული მშვიდობის ფონდის პროგრამების ასისტენტი; 2005-2006 წლებში — ღია მედიის კვლევით ინსტიტუტში კავკასიის რეგიონის პროგრამების დირექტორი; იმავე პერიოდში — გლობალური კვლევისა და სტრატეგიული ანალიზის ინსტიტუტის ევრაზიის რეგიონული კვლევის დირექტორი; 2001-2006-ში აშშ-ში ქართული სათვისტომოს პრეზიდენტი — დღემდე რჩება ამ გაერთიანების დირექტორთა საბჭოს წევრი; ასევე დღემდე გახლავთ კონსტანტინე სიღამონერის თავის მიერ დაარსებული საქართველო-ამე-



ახალგაზრდა ექიმი შოთა ჯაფარიძე კოლეგებთან ერთად



შოთა დედასთან და სიდედრთან ერთად

რიკის მეგობრობის ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს წევრი. — აი ასეთი წარმატებულია ნინიკო, რომლის განათლების მისაღებად ბატონმა შოთამ და ქალბატონმა ლალიმ მაქსიმუმი გააკეთეს.

ბატონი შოთა კარგი მოთევზავე და მონადირეა. ეს მისი ჰობია: „სხვადასა, ჩემს სახლთან ახლოს, მდინარე ჩამოდის, ჩავდივარ, ბადით 10-15 კალმასს ვიჭერ და უდიდეს სიამოვნებას ვიღებ“ — ამბობს ბატონი შოთა. ასევე საოცრად მოსწონს ნადირობა. მის სახლში ერთი ოთახი სანადირო ნივთებს აქვს დათმობილი.

**P.S.** როდესაც ბატონ შოთას სახლში ვსტუმრობდი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მუზეუმში, ან უმაღლესი დონის სასტუმროში ვიყავი... არ ვიცი რას შევადარო, ყველაფერი იმდენად დახვეწილი გემოვნებით არის ნაკეთები... როგორც აღმოჩნდა ამ ყველაფრის ავტორი, ოჯახის დიასახლისი, ქალბატონი ლალი გახლავთ, ბატონი შოთა ამბობს, ლალი ექიმი კი არა, დიზაინერი უნდა ყოფილიყო. ეს არის ქართული ტრადიციული ოჯახი თავისი სტუმარ-მასპინძლობის წესით: „სტუმარი ძალიან გვიყვარს, ოჯახს მე ვამარაგებ, შოთა ამ ტვირთისგან გავათავისუფლე, მას თავის საქმეც ეყოფა, სამზარეულოში დედა ტრიალებს, ის 85 წლისაა, მაგრამ ძალიან ენერგიული ქალია, როდესაც სტუმრები გვყავს მაგიდა მე უნდა გავაწყო, ჩემი დიზაინით, აქამდე ყოველთვის ყველაფერს მე ვაკეთებდი, მაგრამ ახლა, როდესაც ამ ახალ სახლში გადმოვედით, სივრცე იმდენად დიდია, რომ მარტო ყველაფრის მოვლა შეუძლებელია. ამიტომ ორი ქალბატონი

მეხმარება. ეზოს მე ვუვლი, ეს საქმე საოცრად მსიამოვნებს, საერთოდ, ყველაფერს ხალისით ვაკეთებ, მე და შოთას იმდენად გვიყვარს ერთმანეთი, იცით, შოთამ მე ულამაზესი სტრიქონები მომიძღვნა:

„აფეთქებული ვრძნობა  
 ცაში აჭრილა სვეტად,  
 მინდა თან ავუკე, ვთხოვო,  
 რომ დიდხანს დავრჩეთ ერთად“


ყველაფერი მეხალისება, დაიჯერებთ? ჩვენ არასდროს გვიჩხუბია, — საუბარში ბატონი შოთა ჩაგვერთო, მარტო მანქანის მართვის გამო ვჩხუბობთ, ლალი საკმაოდ კარგი მძღოლია, მანქანა ადრე, 1994 წელს ვუყიდე და ჩემი ტარება არ მოსწონს (იცინის), მართალია — აგრძელებს ქალბატონი ლალი, იცით რა? ძალიან სასაცილო, მხიარული ცხოვრებით ვიცხოვრე, აი ამას ჰქვია გამართლება, ასე მგონია 47 წლის მანძილზე გვერდზე არ გაუხედავს, ჩემთვის არასდროს უღალატია, ასე მგონია, არ ვიცი, თვითდაჯერებული ვარ, ყოველ შემთხვევაში ამას თავის მოქმედებით გაგრძნობინებს, ხელის გულზე გატარებს, ძალიან ბედნიერი ვარ“, — ჩვენს საუბარს უსმენდა ქალბატონი ლალის დედა, ბატონი შოთას სიდედრი, „ქალბატონო ნინო, მე უბედნიერესი ქალი ვარ, მათი სიყვარულის გამო. შოთა ჩემს ხელში გაიზარდა, 19 წლის იყო ჩემთან რომ მოვიდა, მას შემდეგ სულ ერთად ვართ, ამბობს ჩემს სიდედრს არ მოვწონდიო, — როგორ არ მომწონდა, დასაწუნი რა ჰქონდა? მარტო თმა დავუწუნე, ძალიან მოკლედ ჰქონდა შეჭრილი, შოთა ჩემი მესამე შვილია, დილით ადრინად ვდგები, საუზმეს ვუმზადებ, მე ვისტუმრებ სამსახურში, არაჩვეულებრივი ადამიანია, ის დღეს ნამდვილად სჭირდება ჩვენს ქვეყანას“.

— დიას, ბატონი შოთა ნამდვილად სჭირდება ჩვენს ქვეყანას, ბატონი შოთასნაირი ოჯახები გადაარჩენს ჩვენს ერს, რამეთუ მათი ცხოვრება არის ბალადა სიყვარულისა, ბალადა ერთგულებისა, ბალადა ადამიანობისა და კეთილშობილებისა.

წელს შოთა ჯაფარიძე 70 წლის გახდა. ვულოცავთ სახელგანთქმულ დასტაქარს საიუბილეო თარიღს, ვუსურვავთ კვლავ დიდხანს ეღვაწოს ჩვენი ქვეყნის და ერის საკეთილდღეოდ.

ნინო რახვიაშვილი

ეს მოხდა 200 წლის წინ, გერმანელმა ექიმმა, პროფესორმა სამუელ ჰანემანმა ალტერნატიული მედიცინის ახალ დარგს - ჰომეოპათიას ჩაუყარა საფუძველი, მისი პრინციპი ასე ჩამოყალიბდა: „მსგავსი იკურნება მსგავსით, მხოლოდ უმცირესი დოზით“. ჰომეოპათია მთელ მსოფლიოში სწრაფად გავრცელდა. გასული საუკუნის დამდეგს, უკვე ფანი მოიპოვდა საქართველოშიც, დღეს კი ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბატონი კახა საგახტარიშვილი თავის ჯგუფთან ერთად არაერთ ნამალზე მუშაობს, აქვთ მიღწევები და წარმატებები.



## მსგავსი იკურნება მსგავსით

მრავალ ათას ჰანემანზე დაკვირვებამ და კვლევა ქართული მედიცინის თითქმის 30 წლიანმა კვლევამ ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს კახა საგახტარიშვილს საშუალება მისცა ღორის ბრიჯის პანდემიის დროს შეაქმნა ბრიჯის სანიტარულ-მედიკალური პრეპარატი „ბრიჯი-საგა“. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: ის ვინც ამ პრეპარატს პროფილაქტიკის მიზნით იღებდა, ბრიჯი ან სხვათაგან არ ემართებოდა, ან ემართებოდა მსუბუქი ფორმით იღებდა, ყოველგვარი გართულების გარეშე. ექიმი ჰომეოპათია კახა საგახტარიშვილი მის მიერ შექმნილი მეორე სენსაციური პრეპარატზე გვიამბობს: „გულის ელექსირზე“, რომელიც მრავალი ადამიანისათვის აღმოჩენის ტოლფასი შეიქცა გახდა.

— 10 წელია, რაც 21-ე საუკუნეში გადავით და ყველაზე აქტუალურ პრობლემად მაინც ორი რამ რჩება — გული და სიმსივნე. იქმნება ახალ-ახალი საგულე ქიმიური საშუალებები, მაგრამ... გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გარდაცვლილთა რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობს. რა თქმა უნდა, პრობლემა იმაშიცაა, რომ საგულე ქიმიური საშუალებები ბევრ შემთხვევაში ძვირადღირებულიცაა და მოსახლეობის დიდ ნაწილს, სამწუხაროდ, მასზე ხელი არ მიუწვდება, მაგრამ ვინც ძვირადღირებულ საგულე

საშუალებებს ღებულობს და მაინც ინფარქტისაგან, ინსტულისაგან არ არის დაზღვეული, მაშინ სად ვეძებოთ გამოსავალი?

ქართველები რატომღაც ყურადღებას ვამახვილებთ ჩინური, ტიბეტური, ინდური, არაბული ხალხური მედიცინის საფუძვლებზე შექმნილ სამკურნალო მცენარეებისაგან დამზადებულ ძალზე ეფექტურ სამკურნალო საშუალებებზე, ამ დროს ის გვავიწყდება, რომ სიტყვა „მედიცინა“ კოლხი მკურნალი ქალის მედეას სახელიდან იღებს საფუძველს, ხოლო

მედას მამიდას „ჰეკატეს“ კოლხეთში სამკურნალო მცენარეების ბალი ჰქონია გაშენებული... **ჰეკატეს ბალი უძველესთაგანია მთელ მსოფლიოში!** — ეს სიტყვები ძველი ქართული მედიცინის გამოჩენილ მკვლევარს დოც. ნინო წუნუნავას ეკუთვნის, რომლის ნაშრომს „ძველი ქართული მედიცინის სამკურნალო მცენარეები“ მსგავსი ანალოგი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სამეცნიერო ლიტერატურაში ერთეულებში თუ მოიპოვება.

კურტ-იოაჰიმ შპრენგელი 1821 წელს აქვეყნებს ცნობილ 5 ტომიან ნაშრომს: „**მსოფლიოს მედიცინის ისტორია**“, სადაც მიმოიხილავს კართაგენულ, ეგვიპტურ, ინდურ და ა.შ. მედიცინას და იცით მისი წიგნის პირველივე თავი რითი იწყება? კოლხურ-იბერიული მედიცინის აღწერით!!!

ყველაფერი ამის მოხმობა იმისთვის დამჭირდა, რომ „**გულის ელექსირი**“ უცებ, ერთ დღეში და წელში არ შექმნილა! ლამის 30 წელი ვამუშავებდი მეცნიერულად ძველ ქართულ მედიცინაზე დანერვილ უამრავ ლიტერატურეს თუ წყაროს. ვშიფრავდი და აღვადგენდი უძველეს, საუკუნეებით გამოცდილ რეცეპტებს. პარალელურად როგორც ექიმი-ჰომეოპათი გულდასმით ვაანალიზებდი გერმანიაში თითქმის 2 საუკუნის წინ აღმოცენებული ჰომეოპათიური მედიცინის უმდიდრეს გამოცდილებას. ცალკე აღებული ძველი ქართული მედიცინის რეცეპტურის პრაქტიკაში გამოყენებამ საუკეთესო შედეგები მომცა. იგივე განმეორდა ჰომეოპათიის შემთხვევაშიც.

მაგრამ ერთად შერწყმული: ძველი ქართული მედიცინა პლუს ჰომეოპათიური მედიცინა — **შედეგი მოსალოდნელზე უფრო მეტი აღმოჩნდა!** ეს პრაქტიკულად ახალი მიმართულებაა! ამიტომაც ვამბობ: მსგავსი მეთოდით არა თუ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, სამკურნალო ბუნებრივი საშუალება, ჩვენი ჯგუფის გარდა, არავის შეუქმნია. თუნდაც იმიტომ, რომ ძველ ქართულ მედიცინასაც კარგად უნდა იცნობდე და ჰომეოპათიასაც.

„**უსწორო კარაბადინი**“, „**იადიგარ დაუდი**“, „**წიგნი სააქიმო**“ და სხვა მრავალი შეიძლება ბევრ ოჯახში ინახებოდეს, მაგრამ ამ წიგნებს ვერ გაიგებ, მის რეცეპტურებსაც ვერ გაშიფრავ თუკი ამის სათანადო ცოდნა, გამოცდილება არ გაქვს. წლების განმავლობაში თუ არ გიმუშავია.

მე კი ლამის 30 წელიწადია რაც უძველეს კარაბადინებს ვსწავლობ. ჩემს მიერ წლების მანძილზე გამოცემული 7 წიგნი, 1 მონოგრაფია „**საქართველოს სამკურნალო მცენარეები**“, 50-მდე სამეცნიერო შრომა, ამ კარაბადინებზე



მუშაობის შედეგია. ამიტომაც არარის შემთხვევითი, რომ ჩემი „სამკურნალო წიგნის“ სერიების საერთო ტირაჟმა 100 ათას გადააჭარბა.

— რას აკეთებს კონკრეტულად „**გულის ელექსირი**“?

— „**გულის ელექსირი**“ გახლავთ გულის სისხლძარვთა გაფართოებელი, სპაზმის მომხსნელი, არითმიის სანინალმდეგო, წნევის მარეგულირებელი, გულის კუნთის მკვებავი, დამამშვიდებელი. აქვს უნარი გახსნას კალციუმის და სხვა დანალექები არტერიების კედლებზე, მისი მიღება შესაძლებელია გულის ყველა დაავადების დროს. **ჩიყვის დროს კი აუცილებელიცაა!** ცვლის ძვირადღირებულ სამკურნალო პრეპარატებსაც. ალბათ არ არსებობს ადამიანი, რომელიც ცხოვრებაში გულს ერთხელ მაინც არ შეეწუხებინოს. ჩემი რჩევაა; საკმარისია გულმა ერთხელ მაინც შეგანუხოთ და „**გულის ელექსირი**“ მიიღოთ 4-5 წვეთი 5-5 წუთიანი ინტერვალებით რამოდენიმეჯერ, რომ კარგა ხანს დაგავინყდებათ, რომელ მხარეს გაქვთ გული. რაც შეეხება კარდიოლოგიურ ავადმყოფებს, თუ ისინი სისტემატიურად მიიღებენ „**გულის ელექსირს**“, მალე ვერ შევპირდები, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი სასუნთქი სისტემა ისე იმუშავებს, როგორც შიგანვის ძრავა. რაც მთავარია გულის პრობლემების ასაკოვან ხალხს არ შეეშინდება.

— გულის მძიმე პათოლოგიებზე, მაგალითად ინფარქტ-გადატანილებზე და სხვა რთულ დაავადებებზე, როგორ მოქმედებს „**გულის ელექსირი**“?

— თავს უფლებას არ მივცემ ვურჩიო სხვა წამლები შეწყვიტონ და მხოლოდ „**გულის ელექსირი**“ მიიღონ, არა, „**გულის ელექსირის**“ მიღება მათ პარალელურად შეუძლიათ და შედეგს თვითონვე დაინახავენ, მერე კი, არჩევანი თვითონ გააკეთონ. რაც მთავარია ეს გახლავთ სრულიად უვნებელი საშუალება. მისი გამოყენების

შეუძლიათ ორსულებსაც, ბავშვებსაც და მოზარდებსაც გარდატეხის ასაკში. ეს პრეპარატი ჰომეოპათიური კანონებითა და ტექნოლოგიებით არის დამუშავებული, ამიტომაც არა აქვს არანაირი გვერდითი მოვლენები.

მაგალითისათვის მიღებაზე მოსულ 84 წლის ბატონ დავითს თქვენ თვითონ გაესაუბრეთ, შეადარეთ კარდიოგრამის მაჩვენებლები 10 წლის წინ და ახლა. ანუხებდა გულის იშემიური დაავადება, მაღალი წნევები, ტაქიკარდია. ვერ შეძლო კარდიოლოგის დანიშნული ქიმიური მედიკამენტების შექცენა. იღებდა მხოლოდ და მხოლოდ „გულის ელექსირს“ თითქმის 10 წლის განმავლობაში. შედეგი სახეზეა: როგორც სუბიექტური გაუმჯობესება, ისე კარდიოგრამაზე ასახული. თითქოს სულ სხვა ადამიანს ეკუთვნოდეს! ასეთი მრავალი შემთხვევის მოყვანა შეიძლება.

**„გულის ელექსირს“** სასარგებლო თვისებები ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გამოვლენილი. ბევრს მისი **დამაშვიდებელი და საძილე** თვისებებიც კი აღუნიშნავს.

— **რამდენად ხელისაწვდომია კოლხურ-იბერიული სასნაული „გულის ელექსირი“?**

— „გულის ელექსირი“ თითქმის ყველა სააფთიაქო ქსელში იყიდება. „სახალხო პრეპარატი ხალხის სამსახურში“ — ასეთია ჩემი სურვილი. დღეს საგულე საშუალებებს მეტ-ნაკლებად 1 000 000-მდე ადამიანი იყენებს საქართველოში. მინდა ყველასთვის იყოს ხელმისაწვდომი. ამიტომაც ფასი 18 ლარამდეა. ყოფნის 1 თვეზე მეტ ხანს.

გვერდითი მოვლენების და მიჩვევის ეფექტის არარსებობის გამო მისი მიღება წლების განმავლობაში არის შესაძლებელი.

— **ბატონო კახა, უძველესი ქართული მედიცინის დანარჩენ მსოფლიოსათვის გაცნობა საშური საქმეა, თქვენ ამ მხრივ წლებია რაც იღწვით, გაქვთ თუ არა ჯანდაცვის „მამებისაგან“ რაიმე მხარდაჭერა?**

— თქვენ თვითონ განსაჯეთ: **თბილისის №13 პოლიკლინიკაში** თითქმის 25 წელი არსებობდა ჩემს მიერ შექმნილი ძველი ქართული მედიცინის შემსწვლელი განყოფილება, რომლის მიზანს შეადგენდა მედიცინის, როგორც კოლხი მედეას სამშობლოს, უძველესი სამედიცინო კულტურის მქონე ერის მთელი საქართველოს მასშტაბით **წარმოჩენა**.

რუსულ ენაზე ითარგმნა ზაზა ფანასკერტელის **„სამკურნალო წიგნი“**. დამუშავდა და გამოიცა ძველ ქართულ მედიცინაზე უამრავი ნაშრომი. შეიქმნა უნიკალური წიგნთსაცავი: **პროფ. მიხეილ შენგელიას, პროფ. მიხეილ სააკაშვილის, დოც.**

**ნინო წუნუნავას** და სხვათა უნიკალური, დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული ნაშრომები, რომლებითაც დიდი ერებიც კი იამაყებენ.

თუნდაც გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოცემული უნიკალური **„ქართული მედიცინის ისტორიის“** მრავალტომეული ავილოთ მსოფლიო დონის მკვლევარების **პროფ. მიხეილ სააკაშვილის და დოც. ავთანდილ გელაშვილის** ავტორობით. ასეთი ნაშრომით იამაყებდა ნებისმიერი კულტურული ერი. **ჩვენს მეზობლად უზარმაზარ რუსეთშიაც არ შექმნილა მსგავსი ნაშრომი.**

სწორედ ჩემმა მასწავლებლებმა: **ავთანდილ გელაშვილმა, ნიკა სააკაშვილმა, მიხელ შენგელიამ** გამიხსნეს გზა, რომ ძველი ქართული მედიცინის საფუძვლებს სტუდენტობის დროიდან ჩავწვდომოდი.

დღეს ეს განყოფილება, ისევე როგორც თბილისის №13 პოლიკლინიკა, აღარ არსებობს. რაშიც „დიდი წვლილი“ მიუძღვის 2005-2012 წლებში თბილისის ჯანდაცვის ყოფილ მამას, 80-იანი წლების „გამოჩენილ კომკავშირელს“ მამუკა ქაცარავას.

„ჯანდაცვის მამებს“ საერთოდ გაუგიათ ან სმენიათ ძველი ქართული მედიცინის მსოფლიო დონის მკვლევარების აბელ იაშვილის, მიხელ სააკაშვილის, ნინო წუნუნავას და სხვათა სახელები? ალბათ, უძველესი ქართული მედიცინის შესწავლა და მისი ავტორიტეტის შორს გატანა — არავის სჭირდება.

ერთადერთი ვინც თავისი დროზე დაინტერესდა კოლხურ-იბერიული მედიცინის მიღწევების ფართოდ წარმოჩენით და შექმნა ამისთვის ყველა სათანადო პირობა, აფხაზეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე გია ბარამიაა. რომ არა აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრო და მათი ხელშეწყობა, **„გულის ელექსირიც“** ვერ იხილავდა

**საკონტაქტო ინფორმაცია:**  
**593 31 70 34**  
**სამედიცინო ცენტრი „ნეოკლინიკა“**  
**ბახტრიონის ქ. #10ა**

დღის სინათლეს. ეს თითქოს ნიშანდობლივია: მედიცინის ფუძემდებელი კოლხი მედეა არა მარტო ქართველების, აფხაზების კუთვნილებაა! ქართველებს და აფხაზებს ერთი ისტორია გვაქვს და ერთ სახელმწიფოს ერთად ვაშენებდით.


**იასუბრა**  
**ნინო რეხვიაშვილი**

# შალვა (ჯამუ) გარუჩავას ვარსკვლავი სენაკში



აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში გაიმართა შალვა (ჯამუ) გარუჩავას ვარსკვლავის გახსნისადმი მიძღვნილი გალაკონცერტი ქართული ნაციონალური ბალეტის, ადგილობრივი ქორეოგრაფიული, ფოლკლორული და საესტრადო ანსამბლების მონაწილეობით. სახელგანთქმული მოცეკვავის შემოქმედებით წარმატებებზე ისაუბრეს სენაკის სტუმრებმა - ქართული ნაციონალური ბალეტის „ოქროს თაობის“ წარმომადგენლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა - **ოზარ მხეიძემ, გივი სიხარულიძემ, თენგიზ ურთმელიძემ, უჩა დვალისვილიმ, თამაზ მოსიამ.** ეკრანზე ერთმანეთს

ენაცვლებოდა კადრები შალვა გარუჩავას ტრიუმფალური გამოსვლებიდან. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გორა დგებუაძემ სენაკელთა სახელით მადლობა გადაუხადა დამსახურებულ მოცეკვავეს ღვანლისათვის და მას საპატიო სენაკელის წოდება მიანიჭა. ღირსეულ სენაკელს მიესალმა გამგებობის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ვასილ ბესელია. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა, აგრეთვე, შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის სენაკის ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი ზვიად გვასალია.



# რა გადაგვარჩენს ქართველებს, პოლიტიკური ამბიციები, თუ ჭეშმარიტების ბოლომდე გახსნა?

„ღვთის ნების გარეშე ერთი ღერი თმა არ ჩამოგვივარდებაო“, — გვმოდერავს ბიბლია. ღვთის ნება იყო ყველაფერი, რაც კაცობრიობის ისტორიაში მომხდარა: ღვთის ნება იყო იბერიული ცივილიზაციის პირინეიდან ინდოეთამდე გავრცელება; ღვთის ნება იყო იბერთა კავკასიაში ლოკალიზება; ღვთის ნება იყო 523 წელს იბერთა დაცემა; ღვთის ნება იყო პირისაგან მიწისა აღგვილი იბერიიდან იბერთა მოდგმის ფენიქსისებრ აღმოცენება: ჯერ დამოუკიდებელი ეგრისისა და ქართლის სამეფოების აღდგენა, მერე 1008 წელს მათი გაერთიანება და გაერთიანებული

ბოლო ბრძოლა იბერთა მოდგმისთვის ჭკუის სასწავლებლად — უზენაესის მხრიდან. ბრძოლა მიმდინარეობს ზოგისგან პირდაპირი შეტევითი ფორმით, ზოგისგან ფარულად, ზოგი, თითქოსდა, უფრთხილდება ქართველი ერის ერთიანობას, მაგრამ ბოლომდე უჭირს სიმაღლის აღიარება, ზოგს კიდევ მიუხედავად იმისა, ბრწყინვალედ იცის სიმაღლედ და, შეიძლება, მისი აზრი საბოლოოდ გადამწყვეტი და დამარეგულირებელი იყოს, მაგრამ რალაცის შიში აქვს და დუმილს ამჯობინებს. და ყველაფერი ეს შეიძლება ღვთის ნება იყოს და სასარგებლოც, თუ მებრძოლ მხარეთა აზრი შინაგანი მეს გამოძახილი და გულწრფელია და არა გარეგანი, ეგოისტური მესი, რამეთუ განსხვავებულ, მაგრამ გულწრფელ აზრთა მშვიდობიანი ბრძოლა ჭეშმარიტებას და სამშობლოს კეთილდღეობას ემსახურება. მაგრამ, როცა იბერიული (ე.წ. მეგრული) ენის ფენომენის წინააღმდეგ ზოგ მებრძოლ პირთა ერუდირებაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, საეჭვოა, მათ მიერ გამოთქმული სწორი, თუ არასწორი აზრები გულწრფელი იყოს, რადგან ბოლომდე არ იხსნებიან.



იბერთა მოდგმის სახელმწიფო ენად, პირველად მთელი თავისი არსებობის მანძილზე, ქართული ენის მიღება; ღვთის ნება იყო იბერთა ენისა და ამ ენის მატარებელი ხალხის ნების უმონყალოდ გათელვა და დასამარება იბერთა მოდგმის ჭკუის სასწავლებლად და გონს მოსაგებად; ღვთის ნებით მოხდა სამარადისოდ დასავიწყებლად განწირული იბერიული (ე.წ. მეგრული) ენის ფენომენის ისევ სამზეოზე ამოტივტივება და ნათელის მოფენა. მაგრამ სატანური ბოროტი ძალა ღვთის ნებას დაემორჩილება? და ისევ განახლდა ბრძოლა: ბრძოლა ბრიყვული — თანამემამულეთა მხრიდან,

ახლახან გავეცანი ჟურნალ სამეგრელოში (4, 1.04.2016) გამოქვეყნებულ ბატონ თამაზ კვაჭანტირაძის წერილს „ძმა ენები — მეგრულ, სვანურ, ჭანური“, რომლის წინასიტყვაობაში წერია ჟურნალის მთავარი რედაქტორის ქალბატონი ნინო რეხვიაშვილის აზრი: „სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ბოლო დროს რეგიონალური და უმცირესობების ენების შესახებ „ევროპული ქარტიის“ თაობაზე მსჯელობის განახლებას მიუღებლად მიიჩნევს, რადგან მასში სეპარატიზმის საფრთხეს ხედავს. საფრთხე შეიძლება იქიდან მოვიდეს, საიდანაც ნაკლებად ელი. ინტერნეტ სივრცეში ძალზე გააქტიურდნენ ანგაჟირებული

ადამიანები, რომლებსაც მეგრულ და სვანური დიალექტების რეგიონალურ ენებად გამოცხადება სურთ. სწორედ ამ საკითხს ეხება ბატონ თამაზ კვაჭანტირაძის წერილი, რომელსაც ქვევით გაეცნობით“.

ქ-ნი ნინო ენათმეცნიერი არაა და დიდი ტრაგედია არ არის მეგრულისა და სვანურის არსის კვალიფიცირებაში შეცდომა მოუვიდეს (დედამინაზე მცხოვრები ხორციელი ადამიანის უშეცდომობა გამოირიცხებოდა), მაგრამ სამწუხარო ისაა, მასში ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამყარებულია რწმენა, რომ მეგრული და სვანური დიალექტური ენებია და ამ ცრუ რწმენის ჭეშმარიტი რწმენით შეცვლა, როგორც ბევრ სხვას, მასაც უჭირს. თუმცა ეს მათი ბრალი არც არის, რადგან მათი რწმენა, საუკუნეების განმავლობაში, ვერაგ მტერთა, თუ სიკეთესა და ბოროტებაში გაურკვეველ თანამემამულეთა მიერ შთანერგილი რწმენაა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდებოდა.

მთელი ტრაგედია სწორედ ისაა, რომ სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებმა იბერებმა, ან უკვე ე.წ. მეგრელებმა და ე.წ. ქართველმა ცინიკურად დაუმახინჯეს ერთმანეთს ეთნიკური სახელწოდება და დღეს მათ იბერები აღარ ჰქვია. არანაკლებ სავალალოა ის, რომ თანამედროვე იბერებმა — ქართველებმა არც კი იციან თავიანთი ეთნიკური სახელწოდების წარმომავლობა და იბერის, მეგრელის და ქართის მნიშვნელობანი, არა თუ რიგითმა ქართველმა, არამედ ბევრმა ენათმეცნიერმაც კი, ხოლო ვინც იცის, ისინიც საეჭვოდ დუმან და არც ინტერესდებიან ამ ეთნიკურ სახელწოდებათა ეტიმოლოგიით. ალბათ, დაფარული ჭეშმარიტებისთვის ნათელის მოფენისა ეშინიათ.

ალბათ, ამიტომ იყო რომ ბატონმა თამაზ გამყრელიძემ სიცრუე ამჯობინა ჭეშმარიტების აღიარებას და ჩემს თხოვნაზე, შეეფასებინა ჩემი „ძველკოლხური ენის საიდუმლოებანი“, სადაც ჩამოყალიბებული მაქვს ჩვენი მხედრული და ასომთავრული დამწერლობების წარმოშობა, ენის ბორძიკით იცრუა: მე, მე, მე მეგრული არ ვიციო და ენათმეცნიერების ინსტიტუტს მიმართეო. იცის მან მეგრული ენა და თუ, მართლაც, არ იცის მით უარესი და დიდი სირცხვილი მისი, მაგრამ საიდუმლოდ რჩება რატომაა დიდი თამაზ გამყრელიძე მეგრული ენის მიმართ ასე მწყრალად. რისი და ვისი შიში აქვს მას?

ენათმეცნიერების ინსტიტუტში იმ პიროვნებამ, რომელმაც მ. და ც. ძაძამიების



შვიდტომეულის „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“ გამოცემა ტრაგედიად შეიცხადა, ჩემს აღნიშნულ ნაშრომზე ვერავინ შეგედავებო, — მითხრა, მაგრამ აღიარებაზე რა მოგახსენოო. არადა, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩვენი დამწერლობების წარმოშობაზე სიცრუეს ასწავლიან.

დიახ, როგორც ბ-ნი თამაზ კვაჭანტირაძე აღნიშნავს: „სიმდიდრეა ჩვენი მეგრული და სვანური ენები... სიმდიდრეა ჭანური, ანუ ლაზური ენაც, ვაგლახ, სხვაგან განფენილი და ჩვენში ამჟამად სარფშილა შემორჩენილი; სიმდიდრეა ჩვენი ნაირგვარი კილოები.“

მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ უფრო უნდა მოაწესრიგოს ამ ღვთივბოძებული სიმდიდრის არამარტო დაცვისა და სარგოდ გამოყენების, არამედ მისადმი მართებული სახელმწიფოებრივი მიდგომის საკითხიც...“

ვეთანხმები ბ-ნ თამაზს, „რეალობაა, რომ მეგრული და სვანური ენები, დღეს, შინაურობაში სახმარი ენებია“, მაგრამ „მეგრელებისა და სვანების დედა ენა მუდამ იყო ქართული“, — ვერაა ჭეშმარიტება. ვერ დავეთანხმებით, რომ „მეგრულ-ჭანური ქართული ენის ძმაა ენა“, არა იმიტომ, რომ მსოფლიოში აღიარებული კლასიკური ქართული ენის ძმა — ენობა, დღეს, შინაურობაში სახმარი ე.წ. მეგრული ენისათვის დამამცირებელია, პირიქით, საამაყოა და რა დიდი ბედნიერება იქნებოდა, თავიდანე ასე რომ ყოფილიყო, რადგან ჩვენს შორის არ იქნებოდა დავა და ერი და ქვეყანა განვითარდებოდა კანონზომიერად, მაგრამ ქვეყნის ერთიანობისა და განვითარებისათვის სეპარატისტული ამბიციები და სურვილები ვერაა საკმარისი. ჯერ ერთი, თუ ჭეშმარიტებად არ ვირწმუნებთ ლეონტი მროველის, თუ გაურკვეველი ავტორის მიერ „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში“ მოთხრობილ ზღაპარს, არავითარი მტკიცებულება

არ გაგვაჩნია, რომ 1008 წლამდე ქართული ენა ყოფილიყო გაერთიანებული იბერთა მოდემის — ე.წ. მეგრელებისა და ე.წ. ქართვების სახელმწიფო ენა; მეორეც, ყველაზე უძველესი ქართული წერილობითი ძეგლი, დედანში ჩვენამდე მოღწეული, იოანე პეტრიწის განმარტებანი პროკლე დიოდოხოსის „ღმრთის მეტყველების საფუძვლებისა“ ბოლოსიტყვაობიდან ამოღებული ციტატა, „...არა ვეც რული“ ჩემს სარეცელს და არცა წამი ჩემი სულის მოსასვენებლად, სანამ არ მომხედა მე გონებითა ცისკარმა დღისაკენ, რომელსაც უმეტრებათა სიბნელე აღარ ენაცვლება და აღვიშურვე მე, ჩემი გვარ-ტომისათვის შემექმნა ენა სიტყვამდიდარი და განსხვავებული მდაბითაგან (მიდმოობად ენისაჲ გალექსებული და მესხუეჲ მდაბრიონთაგან)“ (იოანე პეტრიწი, 1999, გვ. 214), მკვეთრად და ნათლად აღიარებს მანამდე ქართული ენის განუვითარებლობას და მდაბიურობას.

ამდენად, უგანათლებულესი იოანე პეტრიწის ამ ცნობას ვერ გააბათილებს ლეონტი მროველის, თუ სხვა დაუდგენელი ავტორის მიერ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“...-ში მოთხრობილი ზღაპარი, რომელსაც, უეჭველია, საფუძვლად დაედო 978 წელს ეგრის-აფხაზეთის მეფის თეოდოს II-ის მიერ თავისი დისშვილის, ქართლის უფლისწულის, ბაგრატ III ბაგრატიონის ეგრის-აფხაზეთის მეფედ კურთხევა. და, თუნდაც, რომც არასებობდეს იოანე პეტრიწის აღნიშნული ნაშრომი, რა დაუდგება იმ ჭეშმარიტებას წინ, როცა ღვთის ნებით ცოცხალია ე.წ. მეგრული ენა, რომელიც ბრწყინვალედ ხსნის არქაული ხანიდან ჩვენამდე მოღწეულ ეროვნული წარმოშობის სიტყვების ეტიმოლოგიას, როცა ამას ქართული ენა ვერ ახერხებს. ე.წ. მეგრული ენა ხსნის იმ უძველეს სიტყვათა ეტიმოლოგიას, რომლებიც შემორჩა უძველეს ენებს იმ დროიდან, როცა მთელი კაცობრიობა ერთ ენაზე, ბუნების ენაზე მეტყველებდა და, როცა ამ სიტყვებს ეს უცხო ენები ვერ ხსნიან. ამასთან, ე.წ. მეგრული ენა მეტნაკლებად მოიცავს დედამიწაზე არსებულ ოთხივე ტიპის ენობრივ მონაცემებს (იხ. მ. ძაძამია, ც. ძაძამია, ვ. ვახანია, „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“, ტომი I, გვ. 160-172).

რას ნიშნავს, რომ მეგრული ენა ხსნის იმ უძველესი სიტყვების ეტიმოლოგიას, რომლებიც უძველეს ენებს შემორჩათ იმ ეპოქიდან, როცა მთელი კაცობრიობა ერთიან ბუნების ენაზე მეტყველებდა, როცა ამას ვერ ახერხებს ვერც ერთი სხვა ენა დედამიწაზე? რას ნიშნავს, ე.წ. მეგრული ენა მეტნაკლებად მოიცავს დედამიწაზე არსებულ ოთხივე ტიპის ენათა ენობრივ მონაცემებს?

პატივცემულო, ობიექტური მკითხველო, ეს ნიშნავს, რომ ე.წ. მეგრული ენა არ არის არც ერთი სხვა ენის ძმა ენა, არამედ ესაა ყველა ენათა დედა და ზოგიერთებისათვის, კიდევ, ბებია, მათ შორის, უპირველესი პირმოა ე.წ. ქართული ენა. ე.წ. იმიტომ, რომ მიუხედავად იმისა, ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის 66%-ზე მეტი უცხოური წარმოშობისაა (ა. შანიძის მიხედვით), ქართული ენის გრამატიკა, თითქმის, იდენტურია თავისი დედის — იბერიული ენის გრამატიკისა. ამასთან, უცხოური ლექსიკა, დამკვიდრებული სალიტერატურო ქართულში, გადადნობილია ეროვნულ გრამატიკულ ბრძმედში და ამიტომაც ნაკლებად იგრძნობა მათი უცხოურობა.

ამდენად, იბერიული (ე.წ. მეგრული) ენის წილი ე.წ. ქართულ სალიტერატურო ენაში არანაკლებ 70%-ია. ე.ი. ე.წ. ქართული ენის ეროვნულობას ე.წ. მეგრული ენა განსაზღვრავს.

აი, სწორედ, ამიტომ არაა უცხო მეგრელთათვის ე.წ. ქართული ენა. მაგრამ, სამწუხაროდ, დანარჩენ ქართველთათვის იბერიული (ე.წ. მეგრული) ენა ისევე უცხოა, როგორც სპარსული, ბერძნული, ლათინური, სომხური, არაბული, თურქული და სხვ.

რას იტყვით პატივცემულო ოპონენტებო, გულახდილად თქვით, რომელი კუთხის ქართველმა უკეთ იცის ქართული ენა, იმან, რომელსაც შეუძლია ეროვნული უძველესი წარმოშობის სიტყვების ეტიმოლოგიის დადგენა, თუ იმან, რომელსაც ეს არ შეუძლია?

აი კიდევ, რატომ არა აქვთ მეგრელებს (მხედველობაში გვაქვს შედარებით განათლებული მეგრელები, და არა ისინი, რომლებმაც მეგრულიც არ იციან ხეირიანად) „ქართულის მიმართ გაუცხოების განცდა“ და რატომაა ქართული ენა მეგრელთათვის მშობლიური და უფრო მშობლიური, ვიდრე დანარჩენ ქართველთათვის.

ბ-ნო თამაზ, სწორედ თქვენს მიერ მოწონებული ავტორიტეტული ენათმეცნიერები შეეცადნენ ურთიერთ შესატყვისი ბარტ-ბერტყ, ბორ-ვორ-ვაც, კორ-კარ და ა.შ. ფორმებიდან ხელოვნურად წარმოედგინათ პროტოქართულად ქართული ვარიანტები (ბერტყ-, ვაც-, კარ— და ა.შ.) და ამით შეექმნათ ქართული ენის უძველესობის ილუზია. ასეთი ქმედება უკვე მეცნიერული არაა.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

**სუპური ფიფია,**

„ფაზისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიის წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტი

# უმთა ნიუნინიქა



## აფხაზური კანტატა

I  
ჩემი მორღუ აფხაზეთში იზრდებოდა თარბებთან,  
ბადეს შლიდა... და მშვილდ-ისრით  
ტეეში ნადირს არბეუდა.  
სვიჩას ზრდიდნენ აფხაზეთი ჩაუქად და რაინდად,  
ბეჭხე ორბად შეუფრინეს "ურაიდა რაიდა".  
გადიფრინეს ერმობის წლებმა  
და აფხაზურ-მეგრულით  
ცხრა ლამაზმა ცხენოსანმა გადმოტოპა ენგური.

II  
რა ზატარა ხარ! (აღბათ ცრემლს თუ აღემატები!)  
და რამდენ, რამდენ სიმწარეს და სინარულს იტევ.  
მანდ, აფხაზეთში დაგვიგია კაკანათები,  
აქ კი საფარში ვუჯექით ჩიტებს.  
ძიძიშვილობდნენ წინაპარი სახლიკაცები  
და მხარსე ეჯდათ ერთი ჭინკა და ანგელოსი.  
ქორი, წიწილას აფხაზეთში თუ იტაცებდა,  
ჰაუ, ჰაუო, გვიევირია სამეგრელოში.  
ჩვენს მონადირეს აჯავრებდნენ თქვენი ჩხიკვები,  
ბევრჯერ ეგ თხებიც ჩვენს  
ქანჩასებს რქებით ეკიდა  
და მორღუ აქეთ თუ როდესმე დააცხიკვებდა,  
- სვიჩას სიცოცხლე!  
- ემანოდნენ აფხაზეთიდან.  
ერთ ცას, ერთ ჰაერს, როგორც უნდა,  
როდი ვაფასებთ,  
ერთი მამალი აღვიძებდა ოდიშ-აფხაზეთს.  
სვიჩა რომ მოკლეს ბრანდენბურგთან  
ორმოცდასუთში,  
თურმე აბრსკილის ლექსს მღეროდა,  
ლექსს სათაყვანოს...

შავი ქაღალდი მამამძუძემ მოფშენილა მუჭით,  
ძიძის კვილმა შექრა მთელი სამურსაუნაო.

III  
ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოუმის გამდელიო,  
ამორძალი ხარ, მეგრდმოჭრილი უსაქართველოდ.  
მაგ ტაბილ კალთაში თავს ჩაგიდებ  
და გავუუჩდები,  
ლოცვით, მადლობით, აღსარებით მითრთის ტუჩები.  
ეგ დალაღ-კავი, ეგ მანდილი მოიშილიფე,  
არ დამემდურო, არ მიწეინო, შენი ჭირიძე,  
თუ მორღუსავით ვერ მოგხედე, ვერ მოგიკითხე,  
მუდამ შენთან ვარ, შენკენ მიხმობს  
ფიქრი დღითიდღე,  
შენს კალთას ასდის თაფლის სუნი,  
ირმის რმის სუნი,  
ერმობის ზღაპარო,  
მართლა ზღაპრულ სვე-ბედს კისურვებ.

IV  
ოდიში ვარ,  
ქორწილში ვარ... ცხენს ვაჭენებ... ჰაიდა...  
"ოდიას" გადმოუხტა "ურაიდა რაიდა"...  
ჩანს ანტიკურ არფასავით აივნების რიკული,  
ზედ სიმებად ლერწები და სსიეები ცისკრული.  
წაიყვანეს თამარ-ქალი აფხაზეთში დიელო და...  
მოწამეი ხარ, შენ საქართველო -  
ერო ფეხბედნიერო და...  
ჩანს ოდებზე კოლხთა დერბი,  
დერბი სიმინდ-ჯიქურის  
და აფხაზურ ცხენის ნალი  
ავგაროხად მიკრული.



# ქვეყნის მადედა

## ია ქეცბაიას

ოჭმარეს გობკურცხინი,  
 „ნოკია“ ხეს ქიდებკინი,  
 სქანი სურათეფიმ გოჯინაქ  
 მასიამოვნ, დომირძღ შური.  
 უმკუნთ პიორს ქოგგქ,  
 შურო ვეგგოხე ხანი...  
 ჭიჭენობაშე გიჩინენქ,  
 სკვამი რდი დო სვისვალი.  
 სქანიანეფით ჯგირი რენა  
 არძას უჯორქ, გაფასენა,  
 თიშენ რე სი თინეფს  
 მოჭვაცალო გოთხოზექ.  
 ბაბუცაქ ადრე გეგნობორცქ  
 მუშ დოკვანნილი ოჯახიშე,  
 იშ შური აღბათ ნათელს რე  
 დო რთხილანა თევრეშე.  
 გივიქ ბრელ ლახალა გინიდ,  
 ჩქით ქიბძირეთ მოსკოვს,  
 ასე მუშ ცურა დუნორთის  
 ქინიქვაჩალ მუშ ეზოს.  
 გალს გივის მი ვეჩინენს,  
 მის ვაუჩქ თიშ ეზო-კარი,  
 თიშ ელმოლს მოიჯინექსუ,  
 ხარენს გურო დო შური.  
 ყვაველეფით ბრელ უჩანს,  
 მინდორს მუთუნ ვეგშაჩანს,  
 ქოცუნს ჩხოულეფი, ქაბლეფი,  
 ლეჯეფი დო ქოთ თულეფი,  
 ქოთომეფი დო წინილეფი,  
 ინდური დო მუშ ჭუჭულეფი.  
 ირფელ ინოხვილირს ცენსუ,  
 ეზოთ მუთუნ ვამნოურსუ,  
 თიშენ რე თიშ ეზოს  
 კოჩიში ხე გიოხენი.  
 იათ მუთუნს ვარკენს  
 მუმას, და დო ჯიმალეფს  
 ვართი თინეფიმ სქულაფეს  
 დო ვართ გალელ მეზობლეფს.  
 ია ჩქიმი მეზობელი რდგ  
 დო მოსწავლეთ ყოფილი,  
 მარა ირფელიშ უმოსო  
 ჩქინ ხორცი რე დო ზისხირი...  
 ია ქეცბეხე რე დო

მუმამ ბები პუნდ თე გვარიში.  
 იაშ ჯიმალეფი რენა  
 ჩქიმ სქულაფეშ მეგობრეფი,  
 კომპანიეფს, დლეოფებს,  
 ნათლობებს დო დიარეფს  
 ირდიხას ართო რენა  
 აბა მუჭო ოკო რდას?  
 ყირი კოჩიქ ქუმაკათანი  
 ველეტენა ართიანს.  
 მა ასე საქორთუოს ვორექ,  
 მარა ტელეფონი დო ინტერნეტი  
 ვორყეთ ირდლას ართიანს  
 დო თე ჩქინი მეგობრობა  
 გაგრძელებედას ბრელ ხანს.

## ჯუმბერ ქეცბაიას

წუხელ თბილისში გვეწვია  
 ჩვენი კარის მეზობელი.  
 ის ხომ ჩვენი სისხლ-ხორცია,  
 ლავრენტის შვილი, ნუცას გერი,  
 ჯეირანის უმცროსი ძმა  
 და მეუღლე აზასი,  
 სცენის ყოფილი მშვენიება  
 მოცეკვავე იყო გალში.  
 ის სტამბაში მუშაობდა  
 და კულტსახლსაც არ ტოვებდა,  
 სანამ ჰყავდა თავისი ბექა,  
 ბავშვი ძალზე საოცარი,  
 მისი ცოდნა და იერი  
 იყო ძალზე მომხიბვლელი.  
 მაგრამ უბედურმა ბედმა  
 ჯუმბერს სულ არ გაუმართლა,  
 და ერთ ცხელ ზაფხულის დილას  
 აზა ბავშვებთან ერთად  
 მდინარისაკენ გაემართა.  
 მას თან ახლდა მამამისი,  
 ძმისშვილი და თავისი ბექა,  
 ბექა წყალმა გაიტაცა,  
 მოაქცია ის მორევეში,  
 მის საშველად მისული  
 დაიღუპა აზას ძმისწულიც.  
 ბაბუამ მათ ვერ უშველა,  
 და დაიხრჩო ორი ბიჭი  
 ორნივ ოქუმის ქუჩის მშვენიება,  
 და ცხოვრება გახდა ფუჭი.

მაგრამ ბედმა გაულიმა  
ჯუმბერსა და ჩვენს აზას,  
და მათ მხსნელად და მშველელად  
ქალიშვილი მოუვლინა...  
მას ანუკი დაარქვეს,  
გაიზარდა სასახელო,  
მის ქორნილსაც ვესწრებოდი,  
გაიმართა ის თბილისში.  
სუფრას არაფერი აკლდა,  
არც საჭმელი, არც მოლხენა,  
და ჯუმბერის შავი პერანგი  
თეთრი ფერით შეიცვალა.  
აზამაც კი გაიხადა,  
ის ძაძები საზარელი,  
სწორედ იმ დღიდან დაიწყეს,  
კვლავ ცხოვრება სანატრელი.  
დღეს მათ ორი შვილიშვილი  
ეზრდებათ აქ თბილისში,  
და სწორედ მათ სანახავად  
ჩავიდა ჯუმბერი ბათუმში.  
მან იქ მათთან გაატარა  
მშვენიერი ორი კვირა,  
იქიდან დაბრუნებულმა  
ჩვენც ვიზიტით გაგვახარა.  
რა და რა არ გავიხსენეთ,  
როცა ვნახეთ ალბომები,  
ჩვენი კარის მეზობლები,  
ან განსვენებულები:  
გია, მამუკა, კუკური...  
სურათებზე დავინახეთ  
თამაზის ქალიშვილებიც —  
მაია, ნინო, მარიკა,  
მანჩო ცაგურია, მისი ცოდნე  
და ბევრი კიდევ სხვები,  
გული მწყდება, ვერ მივდივართ  
ჩვენს მშობლიურ აფხაზეთში,  
სასაფლაოს ვერ ვნახულობ,  
ვერ ვანთებ მე იქ სანთელს.  
დედა ოჩამჩირეშია,  
მარტოკა დატოვებული,  
შვილის საფლავი გალშია,  
ჟორას და ლუარას საფლავს  
კი ვაკითხავთ ჩვენ როსტოვში,  
მამას მინა არ ეღირსა,  
ალარ ვიცით, რა ვიფიქროთ,  
მისი გვამი სადღა არი...  
ასე როდემდე ვიცხოვროთ,  
არავინ გვაძლევს ამის პასუხს.  
ჯუმბერსაც ის ანუხებს,  
არ უშვებენ აფხაზეთში,  
შვილის საფლავს ვერ ნახულობს,  
ვერ დაუნთო მას სანთლები...  
ბევრი ჩვენი სანაქებო  
აქ დამრხეს ვაჟკაცები,  
ყოველ კვირას გვიკვდებაინ

აქ გალელი ძმაკაცები.  
კოტე კვირტია გვირეკავს,  
თუ ჩვენ რამე ვერ გავიგეთ,  
ის დიდი ხანია აქ ცხოვრობს,  
იცნობს სოხუმელს და გალელს.  
დღეს ოჩამჩირელიც მოკვდა,  
ისიც იმან დაგვირეკა...  
ის გივი აქუბარდიაა,  
ჩემი მასწავლებლის  
ტატიანა ცაცუას და  
ჟორას კარგი ამხანაგის,  
სერაპიონ აქუბარდიას შვილი.  
მაპატიეთ, მე არ მითქვამს  
ჯუმბერის უმცროს ძმაზე,  
ის ჟორას ნათლული იყო,  
და მას ერქვა ჯამბული,  
მახსოვს, ქვაჩას კუბო რომ დამრესი,  
გაგიჟდა პატარა ჯამბული  
კუბოს წინ გადაუდგა  
ბოძს ხელით ჩაჭიდებული:  
„არ გაგიშვებ, დედაჩემო,  
ან მეც შენთან წამიყვანე,  
მე უშენოდ ველარ გავძლებ,  
რა ვქნა, მარტო რომ დავრჩები“...  
ეთერმა მას შემოხვია  
დედასავით თბილი ხელი,  
კუბო კარიდან გაიტანეს,  
მის ზურგს ამოფარებული.  
ფოსტაში ერთად მუშაობდნენ  
რობინ აბლოთიას მეუღლე  
ეთერ ზაქარაია და  
ლავრენტი - მამა ჯამბულის,  
ამიტომ მან თვით იკისრა,  
შვილებივით მოეწლო მათთვის.  
ეთერის ზაზა დღესაც  
ამ ოჯახს თავისად თვლის.  
ალბათ ზაზა აკითხავს  
ხშირად ჯამბულის საფლავს,  
რადგან ბედმა უკულმართმა  
შეუმოკლა მას დრო-ხანი,  
და ძალიან ახალგაზრდამ  
დატოვა თავისი სახლ-კარი.  
მაგრამ შვილები დაუტოვა  
თავის საყვარელ მეუღლეს,  
ნუცა და ალის ქალიშვილს  
ეს ხომ ჩვენი ლალი არის.  
გამრჯე, ოჯახის ერთგული,  
მამამისივით ყველა უყვარს,  
ნუცასავით არის განაფული.  
მისი გამომცხვარი ტორტი  
ამშვენებდა მუდამ სუფრას,  
მისი შეკაზმული კუჭმაჭით  
იყო ყველა კმაყოფილი.  
რაც მე ის არ მინახავს  
უკვე დიდი ხანი არის,

ანუკის ქორნილში იყო  
 ის ჯანსაღი, პირმცინარი,  
 დღესაც შვილებს მხარში უდგას,  
 გაუმართლა ქმარს იმედი,  
 თავისი შრომითა და გარჯით  
 გამოზარდა მან შვილები.  
 ჯუმბერიც მას ეხმარება  
 ზრუნავს მის ძმისშვილებზე,  
 ახლა პიტერში ცხოვრობენ  
 და ფიქრობენ აფხაზეთზე.  
 ფულს მეზობლებს უგზავნიან,  
 როცა იქ რამე ხდება,  
 ლხინშიაც და გასაჭირშიც  
 როცა ვინმე ჩავარდება.  
 აი, ასე გადის წლები,  
 და გავიდა ოცდასამი...  
 როდის მოვა ჩვენთან ის დრო,  
 რომ შევეგროვდეთ ისევ გალში?  
 ყოველი ლექსის წეროს დროს  
 მე ეს კითხვა მომდის თავში.  
 მაგრამ კითხვა უპაუხოდ რჩება...  
 ქართულ-რუსული უეთიერთობა  
 მომწყვდეულია ჩიხში,  
 ევროსაბჭოს და აშშ-ს ძახილით  
 დავრჩით დაიმედებულნი...

**ბესომ ტყუფებს**

ჩქინი დავითი დო ნიკა  
 ტყიფიშიცალეფი რენა,  
 მარა ვაგნა ართიანსგნ,  
 თენა გვალო მახარენა,  
 ვართ ხასიათით გგნა,  
 გვალო განხვავებული რენა,  
 მუნეფიშ უნჩაშ დას ანიკოს  
 მანგარი პატისცენა დო  
 მუთუნქ თეს ქენყინდა  
 ჟირხოლო თოლს ინაჯინენა.  
 ანასგთ უჯორს ჯიმაღეფი,  
 ქოთ ნიკა და ქოთ დათუშკი,  
 მარა თის შურო ვამაღე,  
 თინეფი აწვალენა ართიანსგნ.  
 ანა სერიოზულ ცირა რე,  
 მიოჯინალო დიდი გიჩქ  
 მარა იქ ბრელ ხანი ვარე  
 ვითაართი წანა აღვნიშნენი.  
 ამდლა ნიკა დო დავითი  
 ჩხორო წანას ათენა,  
 დო მუნეფიშ მეგობრეფით  
 თე თარიღის აღნიშნენა.  
 მოჯგირეფით თაქი ცუნა,  
 მუშ ჭიჭეთ დო მუშ დიდით  
 დათოქ ოჯახით ქუმოფურინ  
 მოსკოვიშე თე დღალეფს,  
 დალით თაქ რე მუშ სანდროთ  
 დო მუშ დიანთილ ნარგიზათ.

ჟორა დო მათ თაქ ვორეთ,  
 ქართალეფო გინიბრითთ.  
 თამროს მშობლეფი თაქი ცუნს,  
 დალეფი ქომონჯ დო სქუათ,  
 ირკოჩი ართო ბზეიმენტ  
 ბოშეფიშ დაბადებაშ დღას.

**გიორგის ვაგაჭყორდ ლევან ბიძიაქ**

დათოქ ნათია მიღუნენი,  
 ბედნიერ რდგ ჯიქიებში ოჯახი  
 მოსკოვს რდგ გოშალირი სუფრა  
 დო ჩქე თექ გებჩინებაფეთ  
 ჩქენ ნოსაში, ახლობლეფი.  
 სუფრა „ბაგრატიონს“ მიღუდეს,  
 შხვა სუფრეფით მიღუდეს თექ ბრელი,  
 მარა ლევანქ გურს ქინმახანტგნ,  
 მოკო თენა მა ბთქუენი.  
 გიორგი დო თეონაში რდჟალას  
 ლევანით უნწყენდ არძას ხეს,  
 გიორგისგთ მუშ ბიძია  
 უსრულენტ მუშ ნატრეფს.  
 თეონა ინწყმა ჭიჭე რდგ,  
 ლევანს ოზეშა ვეგლაყუნდ.  
 თენეფ ჭიჭე რდესგნ,  
 დათო ცხოვრენდ კუნცეგოს,  
 ლევანი დო გიორგი  
 დუც ირთუანდეს თექ პარკის,  
 გიორგის უჯორდ კარუსელი,  
 გიოხუნუნანდ ლევან თის  
 მინშა ვეფხვის, მინშა თუნთის,  
 მინშა ტურას, მინშა გერს;  
 ბრელშა თინეფ ისრიალდეს  
 ცუდემ ხოლოს „გორკეფს“  
 დო ჟირხოლო შულადარო  
 ცუდემა დუნორთის მირთვენდეს  
 ნაირა დო ნათიამ ნაკეთებუ  
 წვნიანს, ხორცეულს დო  
 გემუან დესერტეფს.  
 გიორგი მაჭკუმალი ჯგირი ვარე,  
 ქოთ ქიგიოხე თინა თის,  
 მარა თინა ირდიხაშა  
 გილაყუნსუ მუშ ბების;  
 გიორგის ირფელი ოკო,  
 ვარაგადანს მეთუნშე ვარს,  
 დო ხიოლით იგურუნს  
 შანმათის, სხაპუას დო  
 ფორტეპიანოშ მეგამას.  
 კონცერტეფშათ ქეშაყუნა  
 ჩქენ მოთა მალა-მალას.  
 მუშ ენაჭოფა დიპლომეფი  
 ვემშენტრე ალბომეფს დო  
 ვემკინტირე კიდალას.  
 ლევანს ენა მუთუნ ვაუძირ,  
 ქიგლალურ იქ შარას  
 ვართ სასწრაფოთ მიაჭიშუ თიშა,  
 ვართ უბედურ დიდა დო მუმას,

ის გურქ უღალატ, მუჭოთ  
 ბრელ შხვა ახალეფს.  
 გიორგის ბრელ დროქ დესაჭირ,  
 თე ამბეში ქიმიარჩქვანკონი;  
 მარა ნაირას მუშ მოთაქ  
 თე ამბეს ქიმიარჩქვანკონი;  
 მარა ნაირას მუშ მოთაქ  
 თე ამბეშე ცოცხალო  
 გაიშალაღაფუ შური.  
 ამდღათ თინეფ ირი საბატონს  
 დო არძა უქმე დღალეფს  
 ლევანიშ სასაფლაშა  
 გილაყუნა გიორგით,  
 მუზმა წანაქ ვენკორთენ.  
 გიორგი ლევანს ირო შინანს,  
 ვაგაჭყორდ იქ ის დღას  
 დო სასაფლაშა მეურსუნი,  
 უფუჩონუანს თიშ სურათის  
 დო გილუდგენს თის ღვინს  
 მუშ მუნაღელ ტკბილეულეფს  
 დო ყვავილეფს ოდულაღეს ქიგლუდგვანს.  
 ღვინსგთ დიდსალო გინუკუნანს  
 დო ჭირქას კინ გამნაფშანს,  
 ახალ წყარსგთ ქიგლუდგენს დო  
 ჩილამურით ევშა თოლეფს  
 შხვეფს ვანუძირუანს,  
 ნაირაშა ქიმეურსგენ,  
 ინა მუშ ჭკვერი მოთას  
 გურმა ქიხუტოლუანს.  
 გიორგი თის ოცად,  
 მუშ ბებიში ღურელი გური  
 ჭიჭეთ იშენი გამკორდას,  
 სოდგა ნაირას გილაყუნსგენ,  
 ონჯლორე სოთინ ვაძირას.

**ჩქიმ მზახლევს — ბორისოს და ზაირას**

უნჩაში ცირა თამარა რე,  
 ინა ჩქიმ დო ჟორაში  
 ოფუჩური ნოსა რე.  
 სუმი სქუაში მარდუალშენი  
 ბრელ მუთუნით მარაგადე.  
 ნინაშ ტანტალი ვაუცორს,  
 ვემშესოფუ შხვაშ ამბეს,  
 მუშ ოჯახის გაქვარქვამ,  
 ელაცვანფტილ ბესოს ხუჯის.  
 თამოშ მშობლეფს  
 მუნეფიში ოსურისქუალეფი  
 ხვალე დღას ვემუტებუნა  
 დო ნამდგას ოსაჭირგენ,  
 თის ოხვარნა ირდიხას,  
 ჩქინეფ მოსკოვს ცხოვრენდესგენ,  
 თექით ქალღურდეს სუმ-ოთხი წანას,  
 უკული ბესოქ მუშ ოჯახი  
 აშო, ქართშა გეგნიყუნუ,  
 ოკოდეს მუნეფიშ სქუალეფქ  
 ჩქინობრათ მირდესკონი,


ჩქინ ადათ-წესეფი  
 თინეფს ჯგირო უჩქედესკონი,  
 უნჩაში დო უკლაშის  
 ჭიჭენობაშე პატის ცენდესკონი.  
 ბესოს სამუშა თაქ ვაუღუ  
 მოსკოვსგს ასე კრისიზი რე  
 დო ათეში მიზეზით რე  
 ჩილ დო სქუა ქართის ცენსუ  
 დო მუ მონდოლეეთის მითორენი.  
 ათე სიტყვა არასნორი იფხვარი,  
 მითარინშა ის სო ჩოდ?  
 ირო ნაჭვისალო იცხვანტალ,  
 მოსვანჯა იშო სოთინ ვარე —  
 ვართ ზაფხულს, ვართ ზოთონჯის  
 დო ათამ მუშმახანს გარზგენ,  
 მისოფუნა თენა გურსუ,  
 მარა დარწმუნებული ვორექ,  
 ღორონთიშ ჭყოლოფათ  
 ბესო მუში ოჯახის  
 მალას ბედნიერი დართუ დო  
 გაგრძელენს თაქ ცხოვრებას.  
 სამუშასგთ დოგორნს  
 დო ჭე შურს მიდგნსგენ  
 შხვადომშვა ქიანეფსგთ  
 ქაძირანს მუშ ჩილ დო სქუას.  
 ზაიმ უკლაშა სქუა ნინჩოქ  
 დო მუშ მეუღლე თენგოქ  
 ბრელ ხან ვარე ოჯახი შექმნეს  
 დო მუნეფიშ ელენიკოთ  
 აფუნა გახარებული გური.  
 ელენე დო მუში მუშა  
 ართი დღამ დაბადებული რენა,  
 მარა დაბადებაშ ართ წანას  
 ბალანეფს ჩქინკემა ვაულნიშენა.  
 ათეშენი რე ჩქინ თენგიზი  
 ხუთი ნოემბერს ათე წანას  
 თე დღას ხვალე აღნიშნენს...  
 ჯანჯღავეფს დო გაგუეფს  
 მიგახვამანთ თენგომ  
 დაბადებაშ დღას  
 დო არძას გორთანაფდანი  
 ბედნიერო ოში წანათ  
 ელენეს ქოშიებდას  
 ბრელი და დო ჯიმაღეფი  
 დო თინეფ თიჯგურა ქოცოფედანი,  
 ღორონთშე რდათგენ მაღლიერი.  
 ელენეს ვუსურვენქ,  
 ჯგირი ცირა ქიყუას  
 დო მუშ მშობლეფს  
 ირო გურს უხარენდას .  
 ზაიმ დიდას  
 ნუცა ბეზის ვუსურვენქ  
 ბრელი ხანიში ცხოვრებას,  
 ელენიკომ გათხუალაშა  
 მუთუნს ვამკოჭუებუდას.

„დათა

თუთაშხია“

სამაგიდო

ნიგნი



ამონაჩიები  
ჰომანიანი

## ჭაბუა ამირეჯიბი

ყოველთვის, როცა კარგი ნიგნის კითხვას ვასრულებ უკმარისობის განცდა მეუფლება. ისევ ისე მინდება მთელი დღე თავისუფალი დროის გამონახვაზე ფიქრში გავატარო და ვიფიქრო, რომ მეცადინეობებისაგან დაღლილს სახლში ახალი, სულ სხვა სამყარო მელოდება, სამყარო, რომელიც რეალურისაგან განსხვავებულია, თუმცა ბევრი საერთოც აქვს მასთან.

ზუსტად ასე მოხდა ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ წაკითხვის შემდეგ. ქართველთა უდიდესი საუნჯის - „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად „დათა თუთაშხიაც“ სამაგიდო ნიგნად მიმაჩნია. თვითონ ნაწარმოების ავტორთან დაკავშირებული მითქმა-მოთქმაც იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობისაა იგი. დავა ამ საკითხზე დღესაც აქტუალურია. ზოგი თვლის, რომ ნაწარმოები ჭაბუა ამირეჯიბს არ ეკუთვნის. ამ ჰიპოთეზის განმამტკიცებელ არგუმენტად კი იმ ფაქტს ასახელებს, რომ ჭაბუა ამირეჯიბის შემდეგი პროზაული ნაწარმოებები თავიანთი მნიშვნელობით არათუ აღემატებიან, არამედ არც კი უტოლდებიან „დათა თუთაშხიას.“ უხეშად რომ ვთქვათ, არანაირი ღირებულების მატარებელი არ არიან.

რომანის მოქმედება მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დამდეგს საქართველოში წარმოებს. სიუჟეტი აგებულია მწვავე სიტუაციებზე და ეხება მრავალ ეთიკურ პრობლემას.

რომანს ჩემი აზრით ორი მთავარი პერსონაჟი ჰყავს: აბრაგი - დათა თუთაშხია და მისი მამიდაშვილი მუშნი ზარანდია, რომელიც სამეფო კარზე მსახურობდა.

ნაწარმოებში აღწერილია ამ ორი ადამიანისადმი არჩეული ცხოვრების გზა და ჭიდილი ერთმანეთთან. მთავარ პერსონაჟად შეგვიძლია გრაფი სეგედიც მოვიაზროთ, რადგან ნაწარმოების უმეტესი ნაწილი მისი თხრობისაგან შედგება და საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული მისი მოსაზრებები ადამიანებსა და მათ ქმედებებზე.

„ზოგი ადამიანი იქნებ ყველაფრით, ათასი საუკეთესო ღირსებით იყოს შემკული და მათი სწორედ გამოყენების უნარი კი არ გააჩნდეს. ღირსებები ერთი მონაცემია, მათი სწორად გამოყენების უნარი - მეორე.

ორ ადამიანს იქნებ თანაბარი შესაძლებლობები, მაგრამ სხვადასხვაგვარი ზნეობა ჰქონდეს; მაშინ ყოველი მათგანი თავის შესაძლებლობებს საკუთარი ზნეობის თანახმად გამოიყენებს. ადამიანის ნამოქმედარი ღირებულებები მისი ზნეობის ღირებულებებით განისაზღვრება.“

ასე მოხდა დათასა და მუშნის შემთხვევაშიც. განგებამ ორივე ძმა თანაბარი შესაძლებლობებით დააჯილდოვა, თუმცა დათამ სხვა გზა აირჩია, მუშნიმ - სხვა. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ არჩეული გზის მიხედვით ისინი ერთმანეთის მტრებად ითვლებოდნენ, ერთმანეთის სიყვარული არასდროს დაუკარგავთ.

დათა მუშნის: „შენს საკეთებელსაც და ჩემს საკეთებელსაც ჩვენი ძმობის სინძინდე ჯობია, მუშნი.“

ბატონი მუშნი ზარანდია რევოლუციისა და ცარისტული პოლიტიკის დამხობის წინააღმდეგი (ან დროებით წინააღმდეგი) იყო, რადგან ფიქრობდა:

„როდესაც ახალი ძალმომრეობა ძველი ძალმომრეობის წინააღმდეგ იბრძვის, წესიერი კაცი ძველ ძალმომრეობას უნდა მიემხროს, რადგან არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს მიემხრო იმას, რაც არსებითად ვერ გააუკეთესებს ადამიანს, მაგრამ მოიტანს ახალ უბედურებებს, კვლას და ათასგვარ ბოროტებას მაშინ, როდესაც ძველიც თავსაყრელია.“

საინტერესოა მუშნი ზარანდიას დამოკიდებულება ჯამაგირის (ხელფასის) შესახებაც. იგი თვლიდა: „ისეთი ჯამაგირი არ არსებობს, კაცს რომ ეყოს. კაცი უნდა ეყოს ჯამაგირს. რაც მეტს მოგცემენ, მით მეტი მოგიწდება. ჯამაგირი კი არ არის დიდი და პატარა, მადაა დიდი და პატარა.“

დათა თუთაშხიას დამოკიდებულება ადამიანების ზნეობრივ ღირსებასთან დაკავშირებით: „მე რომ ადამიანს და მის ზნეს ვხედავ, ყველა კაცი ისე ცხოვრობს და ისე იქცევა, როგორც თვითონ მოსწონს, და სხვა კაცი მის საქმეში არ უნდა ჩაერიოს, არ უნდა შეუშალოს ხელი. შენ გატანჯული გგონია და მას უხარია და მოსწონს, თურმე, თავისი დღე და ხვედრი. მგონია, არც ერთი კაცი არაა ქვეყანაზე მისთანა, სხვისი ჩარევის და დახმარების ღირსი რომ იყოს.“



დათას ასეთი დამოკიდებულება გახდა მიზეზი იმისა, რომ მრავალი მტერი გაიჩინა და ბევრი ადამიანი სწორედ მას აბრალებდა თავის უბედურებას. თუმცა დათა საკუთარ პრინციპს იცავდა და მართლაც, არავის საქმეში ერეოდა. ამ ქმედების მოტივი კი მისივე სიტყვებში ნათლად არის გადმოცემული.

ზოგადად დათას ცხოვრებისადმი დამოკიდებულებას კი მარტინ ლუთერის ნათქვამი ფრაზა საუკეთესოდ გამოხატავს: „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!“

დათა ფიქრობდა: „როგორც გინდა იყოს საქმე, სიყვარულით თუ არ მიუდექი – ვერ მოერევი. კაცი მტრად თუ ჩათვალე, შეგძულდება დამისიმოტანილი ზიანის კარგ საქმედ გადაკეთებაში სიძულვილი ვერ გამოგადგება ამხანაგად. მიტომაა, მტრად რომ არ უნდა ჩათვალო ცუდი კაცები, მან ჩატვალსო მტრად, გდიოს, გებრძოლოს, ის მდევარი იყოს, შენ – დევნილი და ხალხი შენს საქციელს მიბაძავს, შენს მხარეს დაიჭერს მაშინ. ცუდ კაცს ნურც მტრად ჩათვლი, ნურც მოყვარედ. მის გაფუჭებულ საქმეს და მის მოტანილ ზიანს უნდა ხედავდე – არაფერს სხვას. ამას უნდა დევე და კარგ საქმედ აქცევდე. სხვები დაინახავენ, კარგმა გლახას აჯობაო,

მოგბაძავენ თვითონაც, უკეთესი გახდებიან, ვიდრე იყვნენ, გამრავლდება ასეთი ხალხი და გაუჭირდება ავ საქმეს. ესაა აბრაგის ვალი და ყველა კაცის ვალი. ასეა ეს.“

გთავაზობთ ამონარიდებს ნანარმოებიდან: „თავისი მიზნების განხორციელების დროს ამა თუ იმ ილეთის ჩატარების შესაძლებლობას მოკლებული ადამიანი ნააგავს ხეიბარს, რომელიც, ვთქვათ, ცალხელაა და თავის ყველა წარუმატებლობას მხოლოდ ამით ხსნის; ცალხელა არ ვიყო, კურდღელს დავეწეოდი და გადავასწრებდიო! ეს ამა თუ იმ უნარს მოკლებული კაცის ფილოსოფიაა.“

მუშნი ზარანდიას მიერ გამოთქმული აზრები გრაფ სეგედთან საუბრისას: „არსებობს ამდენი და ამდენი უკვე ცნობილი თვისება, ვთქვათ, სიყვარული, სიძულვილი, სიკეთე, ბოროტება, სხვანი და სხვანი, ხოლო ცხრილის ამდენი და ამდენი უჯრა დროებით შეუვსებელი რჩება. მერე გავა დრო და თავისი ბინადარი ალბათ ყველა უჯრას გამოენახება.“

ვფიქრობ, რომ ნორმალურ ახალშობილს იმთავითვე დაჰყვება ხოლმე ადამიანის ყველა ზნეობრივი თვისების ჩანასახი და ამ ჩანასახის ზრდა-განვითარების, ჩამოყალიბების, დახვეწის შესაძლებლობაც. საფიქრებელია, რომ ერთსა და იმავე ახალშობილს ყველა ზნეობრივი თვისების ჩანასახი ტოლი სიდიდისა ერ ექნება. ალბათ, ზოგი ჭარბი პოტენციისა ექნება და ზოგიც ნაკლებისა, მაგრამ

თუკი მათი ზრდა-განვითარების, ჩამოყალიბების, დახვეწის პირობები, ანუ გარემო, ერთი რომელიმე ზნეობრივი თვისების მძაფრ ზრდას არ იწვევს, მოსალოდნელია, რომ პროდუქტიც მეტ-ნაკლებად ნორმალურ თვისებებიანი დადგება, ანუ ისეთი, რომელსაც ჩვენ ნორმალურ ადამიანებს ვუნოდებთ. ახლა გამონაკლისებსა და გადახრებს მივმართოთ.

ხომ შეიძლება, რომ დაიბადოს ისეთი ადამიანი, რომელსაც სიხარბე, მომხვეჭელობა და სიძუნწე მძლავრი მონაცემებით დაჰყვება, ხოლო ამის საწინააღმდეგო თვისებები სუსტ, უმწეო ჩანასახად? ისიც ხომ შესაძლებელია, რომ ასეთ ადამიანს შეექმნას ზრდა-განვითარების გარემო, რომელიც მძლავრ მონაცემს მძაფრად განავითარებს და სუსტ მონაცემებს კი დათრგუნავს, დაასუსტებს, პრაქტიკულად მოსპობს კიდევ? მაშინ ასეთნაირად ჩამოყალიბებული ადამიანი რა გზას დაადგება და ამ გზაზე როგორ თვისებებსაც გამოამჟღავნებს, მგონი, ამაზე ლაპარაკი ზედმეტიც უნდა იყოს.“



# გივი სიხარულიძე

## ნოველები

### ღვთის შვილები

ბათუმში მეგობრის დაკრძალვაზე ვიყავი. პროცესიას უამრავი ადამიანი ესწრებოდა. ძალიან ვნუხდი ჩემი მოყვასი კაცის დაკარგვის გამო. თაკარა მზე ისე ანათებდა, თითქოს იქაურობის ჩაფერფვლას ლამობსო. უცებ უცნობი ქალი წამომენია, ხელით თავისკენ მიმაბრუნა და აღფრთოვანებულმა ყველას გასაგონად მითხრა: — მე თამარი გახლავართ, ჩემი სახელი თქვენთვის არაფრის მთქმელია, რომ იცოდეთ როგორ მიყვარხართ, თქვენი ერთგული მაყურებელი ვარ. თქვენ მიერ შესრულებული როლებიდან დაწყებული რეკლამებითა და ტელეგადაცემებით დამთავრებული ყველაფერი ზეპირად ვიცი.

გავუღიმიე, მხარზე მოვეფერე, გმადლობთ ამ სიყვარულისთვის — მეთქი ვუთხარი და გზა განვაგრძე. ამასობაში საფლავს მივუახლოვდით, თავი ხეს შევაფარე. ქალბატონი თამარიც იქვე, მონყალების მთხოვნელთან გაჩერდა. — ვინ არის ეს ქალი? ვკითხე მეგობარს — არ ვიცი, პირველად ვხედავო, მითხრა. უცებ ვიფიქრე იქნებ, ესეც მონყალების მთხოვნელი არის-მეთქი და მოკრძალებით მივმართე: — ქალბატონო, თქვენ ვისთან ხართ? — მცირე პაუზის შემდეგ ხელები ზეცისკენ აღაპყრო, ცას შეხედა და მიპასუხა: ღმერთთან ვარ, ღმერთთანო!

ყველაფერს მივხვდი, უმაღვე ჯიბიდან ფული ამოვიღე და სიყვარულით ვაჩუქე. — დიდი მადლობა, ღმერთმა გაგახაროსო, დამლოცა. აი, მაშინ კი ჩემ სამეგობროს მივუბრუნდი და ვუთხარი: ვისაც მე გიყვარვართ ამ ქალს ფული აჩუქეთ, ჩათვალეთ, რომ მე მჩუქნით-მეთქი. ძალიანაც არ ესიამოვნათ, მაგრამ მაინც ყველამ ჯიბეზე

ხელი გაიკრა და ქალბატონს გარკვეული თანხაც შეუგროვდა. გაიხარეთ, გაიხარეთო იძახდა. მე კი ჩემი საქციელით კმაყოფილი დაკრძალვის შემდეგ გარეთ გამოვედი, მანქანაში ჩავჯექი, წასვლას ვაპირებდი, რომ მეორე ქალბატონი გამახსენდა, ეს რა სისულელე ჩავიდინე მეთქი, მანქანიდან სწრაფად გადმოვხტი და გიჟივით ისევ სასაფლაოზე გავვარდი. ყველა მიხვდა, რომ თვალებით ვილაცას ვეძებდი, ვხედავ ის ორი მონყალების მთხოვნელი ისევე ერთად დგანან. ჯიბიდან გარკვეული თანხა ამოვიღე და მეორე ქალს ვაჩუქე, გაცივინათ. იცით თუ არა, ჩემო ბატონო, ახლა თქვენზე ვსაუბრობდით. ჩემ მეგობარს ვუთხარი, აი, ნახავ თუ ეს შენი გივი უკან არ შემობრუნდეს-მეთქი, მართლაც ასე მოხდა. ვიცოდი, რომ მე ღვთის ანაბარა არ დამტოვებდი, არც თამარს დავუტოვებდით უყურადღებოდ, იმ თანხიდან რალაც ნაწილი მეც მერგო. საუბრის დასასრულს წასასვლელად მოვემზადე. ჩვენც შენთან ერთად წამოვალთო, მითხრეს, — წამობრძანდით — მეთქი, ვუთხარი და წინ გავატარე. როცა კარებთან მსხდომ მონყალების მთხოვნელებთან მივედით, ქალმა ჩანთიდან გარკვეული თანხა ამოიღო და მათაც სათითაოდ დაურიგა, თან მითხრა: იცოდე, ჩემო ძმაო, ჩვენ ყველა ღვთის შვილები ვართ. აბა, ახლა ღმერთი იყოს შენი მფარველიო, დამლოცა და დაგვემშვიდობა. გზად მიმავალს ყურში მათი წარმოთქმული სიტყვები ჩამესმოდა; — ღვთის შვილები ვართ, ღვთის შვილებიო. უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, რომ ამ ცრუპენტელა ქვეყანაში 5 წუთით მაინც მომეცა მე, თავად ცოდვილს ამ ღვთისშვილებთან ერთად ყოფნის საშუალება.

ხიბლია და ნიბლია

თბილისის ზოოპარკში, ჩიტების გალიაში აფრიკიდან ჩამოყვანილი დედალ-მამალი ჩიტი მოეთავსებინათ. დილით, ალიონზე ისინი რომ ჭიკჭიკს დაიწყებდნენ, უფრო საამოს რას მოისმენდა კაცის ყური. მართალია თავისუფლება წართმეულები იყვნენ და თავის ცხოვრებას გალიაში ატარებდნენ, მაგრამ ერთად ყოფნის გამო თავს ბედნიერად გრძნობდნენ. ასე გრძელდებოდა თვეების განმავლობაში. მომვლელი, ლუბა დეიდა მამალ ჩიტს ხიბლიას ეძახდა, დედალს კი ნიბლიას. მას ორივე ძალიან უყვარდა, ხშირად საჭმელს თავის ხელით აჭმევდა. ნიბლია მარცვლეულს პირდაპირ ხელის გულიდან კენკავდა. ერთ მშვენიერ დღეს მომვლელი მათ ალერსში გაერთო, ნიბლიამ კი დრო იხელთა და ღია სარკმელიდან გამოფრინდა, ხიბლიაც ეცადა უკან გაჰყოლოდა, მაგრამ ამაოდ, მომვლელმა კარის დაკეტვა მოასწრო. გაფრინდა ნიბლია ისე, რომ ხიბლიასკენ არც კი მოუხედავს. მიღალატაო, იფიქრა ხიბლიამ, მაგრამ სულ რამდენიმე წუთში ნიბლია უკან მოფრინდა, კარებს ნისკარტი დაუშინა, თითქოს მის გაღებას ცდილობდა, ხიბლია კი გალიის კედლებს აქეთ-იქეთ ეხეთქებოდა, როცა ნირნამხდარი ნიბლია მიხვდა, რომ მისი მცდელობა ამაო იყო, ხიბლიას ნისკარტს რამდენჯერმე შეეხო, ამ დროს მათკენ მომავალი მომვლელი დაინახა, მონყდა გალიას და გაფრინდა. ხიბლიას ახალი მდედრი შეუსვეს გალიაში. თუმცა მისკენ არც კი გაუხედავს, იჯდა ქანდარაზე თავისთვის მობუზული, არც ჭიკჭიკებდა და არც საჭმელს ჭამდა. ზოოპარკის თანამშრომლები მიხვდნენ, რომ ხიბლიას ნიბლიას გარდა არავინ სჭირდებოდა, ამიტომ მდედრი გამოიყვანეს და სხვა გალიაში შესვეს. ნიბლიამ კი კუს ტბის ტყეს შეაფარა თავი. რა არ ეცადა, ვისთან დამეგობრება არ სცადა, მაგრამ ქართულ ფაუნაში დაბადებულმა და გაზრდილმა ფრინველებმა იგი არ მიიღეს.

ადამიანის მზრუნველობას მიჩვეულმა დამოუკიდებლად სარჩო-სანოვავეც კი ვერ მოიპოვა. ერთ მშვენიერ დღეს ნიბლია ხიბლიას გალიას უკან დაუბრუნდა, შიგნით შეღწევას ეცადა,

მაგრამ ნახევრად მკვდარი ხიბლია, დახურულ გალიასთან რას გახდებოდა. მის დანახვაზე თითქოს სული ჩაბერესო, ისე გამოცოცხლდა, მერე კი გალიაში დაყრილ საჭმელს ნისკარტით იღებდა და ნიბლიას პირში უდებდა. გამაძლარი ნიბლია გალიას ზემოდან შემოასკუპდა და ჭიკჭიკი დაიწყო. მის ჭიკჭიკს ხიბლიას ჭიკჭიკიც მოჰყვა. ადრინდელ ხიბლიას ხმაში „თავო ჩემო, ბედი არ გინერიას“ — დედააზრს უფრო ამოიკითხავდით ვიდრე სიხარულისას.

ასე გაგრძელდა ერთი კვირა, სანამ ეს ამბავი ზოოპარკის თანამშრომლებმა არ შეამჩნიეს.

ერთ მშვენიერ დღეს, მომვლელმა ლუბა დეიდამ ხელის გულზე საჭმელი დაიყარა და მთელი ერთი საათის განმავლობაში გალიასთან დაჰყო. თითქოს ნიბლია მიუხვდაო ჩანაფიქრს, ჯერ ადგილიდან მყისიერად აფრინდა, მერე კი მაინც ხელზე დააჯდა და საკენკეს ხელის გულიდან მიირთმევდა. უნდა გენახათ ამ დროს რა ამბავში იყო ხიბლია, აშკარად ეტყობოდა, რომ უკვე სიხარული სჭარბობდა სევდას. რამდენიმე დღის შემდეგ მომვლელმა იმ დროს, როცა ნიბლიას საჭმელს ხელის გულიდან აჭმევდა, ხიბლიას გალიის კარი გაუღო, გამოფრინდა ხიბლია გალიიდან და ნიბლიას გვერდით დასკუპდა, ჯერ ფრთებით შეეხნენ ერთმანეთს, მერე ნისკარტებით. მომვლელის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. დიდება შენს



ძალას, უფალო, ეს რისი მომსწრე გამხადეო. მერე კი დაღლილმა ქალმა ორივე გალიაში შესვა. გალიის კარები ღია დატოვა, თუ გაფრინდებიან, ბარემ ერთად გაფრინდნენო. მეორე დილას რომ მოვიდა, შეშინებული ფეხაკრებით მოდიოდა გალიისაკენ, ფიქრობდა, შიგნით აღარცერთი დამხვდებო. მისდა გასაოცრად ხიბლია და ნიბლია გალიაში იყვნენ. მომვლელის დანახვაზე გარეთ გამოფრინდნენ და დეიდა ლუბას მხრებზე დაასხდნენ. გაოცდა, ხან ერთი ეფერებოდა ნისკარტით, ხან მეორე და თავიანთ ენაზე რალაცას ჭიკჭიკებდნენ. იმ დღის შემდეგ ხიბლიას და ნიბლიას გალია არასდროს დაკეტილა.

დიდება შენს ძალას, უფალო.



პირველად აკვანში ბავშვს ქალის დედა ან „ბებია ქალი“ ჩაანვენდა, შეიძლებოდა ბედნიერ, მრავალშვილიან ქალსაც ჩაენვინა. დღეს და მთვარესაც შეარჩევდნენ და ისე ანვენდნენ ბავშვს აკვანში. სასურველი იყო, რომ ყოფილიყო კვირა დღე და სავსე მთვარე, ვიდრე ბავშვს აკვანში ჩაანვენდნენ, აკვანს ჯერ ცეცხლზე გადაატრიალებდნენ, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება ექცეოდა იმას, რომ აკვანში მწოლიარე ბავშვი დაცული ყოფილიყო ავი თვალისა და ჭინკებისაგან. ამისთვის ბავშვს აკვანში სასთუმალთან უდებდნენ დანას, მაკრატელს, ასანთს, ავგაროზს (მლოცავი ქალის მიერ შელოცვილი ნივთი), ეს ნივთები არავის უნდა მოეპარა, თორემ ასეთ შემთხვევაში ბავშვს აღარაფერი ეშველებოდა, სული დაეპატრონებოდა. თავქვეშ ტაგანას (ხის ჯიშის) უდებდნენ — მცველია და ამავე დროს ბავშვს დიფტერიისაგან დაიცავსო. აკვანს ფეხთან ნახშირით სამჯერ ჯვარსაც გაუკეთებდნენ.

ავი თვალისა და ჭინკებისაგან თავდასაცავად აკვანზე შებმული იყო ნითელი პანტის ხის ჯვარი, გამოკეტილი ბოქლომი, ქინძისთავი, აბოს კბილი, ტატილები, ალისყური, ვერცხლის ფული (დოვლათიანი იქნებო), ქარვა (სიყვითლე არ დაემართებო).

ამავე მიზნით აკვანში მწოლიარე ბავშვს კვამლითაც (ფუტი) მკურნალობდნენ. კვამლი (ფუტი) „დამრგვალებული“ უნდა ყოფილიყო. ის სანთელში აზელილი კაცის ან ძაღლის ბენვის (ბალანს) ნელ ცეცხლს ასდიოდა. ეს ცეცხლი (ნაკვერჩხალი) უმეტესად თიხის ჭურჭელში იდო აკვნის ქვეშ. ნამლად ითვლებოდა გამონაბოლქვი

კვამლი (ბოლი), რომელსაც ასუნთქებდნენ ბავშვს, ეს იყო წიფუტება, რომელიც პატარას დედის ავი თვალისაგან იცავდა.

აკვნიან ბავშვს უყურადღებოდ არ დატოვებდნენ, ხოლო თუ ეს აუცილებელი იყო, მაშინ აკვანზე, უსათუოდ, ცოცხს მიაყუდებდნენ, რომელიც თითქოს ბოროტ სულებს უკრავდა გზას.

ცარიელი აკვნის დარწვევა არ შეიძლებოდა — ბავშვს მუცელი ატკივდებოდა.

აკვნის ლეიბში მატყლის ჩადება იცოდნენ, უფრო გვიან ჩალას დებდნენ, საბანში — ბაბმას.

აკვანს ჰქონდა შიბაქი (ორი სახის), არტახები, ყურ(თ)ბალიში, მუხლი(თ) ბალიში, აკვნის ზემოდან გადასაფარებლად დოლბანდი.

„აკვანში ბავშვი ზოგჯერ ორ წლამდე იწვა, ვიდრე იგი დიდი არ „მოხინჩოლდებოდა“ (მოიზრდებოდა). აკვანი კარგი იყო, რადგან იგი მეტი სისუფთავის დაცვას იძლეოდა: აკვანი ამოვარდნილობებისაგანაც იცავდა ჩვილს. მას შენდეგ რაც აკვანს არ ხმარობენ ამოვარდნილობამაც იმატა, სისუფთავის დაცვაც გაძნელდა და საერთოდ, ბავშვის გაზრდაც გაძნელდა“. ასეთია მთხრობელთა აზრი ბავშვის საწოლთან, აკვანთან დაკავშირებით.

სამეგრელოში ბავშვს აკვანში სამი დღის შემდეგ, ზოლო ზოგან ერთ-ორი კვირის შემდეგ აწვენდნენ. მანამდე „ბებია ქალი“ მას ტეფიაზე (ეს იყო სწორი ფიცარი) აწვენდა და არტახებით მტკიცედ აკრავდა ზედ. ჩვენი აზრით, ბავშვის პირველად ტეფიაზე დანვენა იმიტომ ხდებოდა, რომ ხალხური ჩვეულების თანახმად, ბავშვის დაბადებამდე მის სახელზე წინასწარ არაფრის

ყიდვა არ შეიძლებოდა. ტეფთიას გაკეთება ყველას შეეძლო. იგი მარტივი კონსტრუქციის იყო და სახელდახელოდ აკეთებდნენ ბავშვის დაბადების დღეს, ამასთან, პირველ დღეებში დედას ლოგინიდან ადგომა უჭირდა, რათა აკვანში მყოფი ბავშვისათვის მოეწყო და ძუძუ ეწოვებინა. რამდენიმე დღის შემდეგ გოგოს მშობლებს, საჩუქრებთან ერთად, განყოფილი აკვანი „მიჰყავდათ“, რაც ზეიმის ხასიათს ატარებდა, იმართებოდა ბავშვის შეძენის სიხარულით გამონჭვეული ლხინი.

ოჯახს ტყუპი შვილი თუ შეეძინებოდა, გოგოს მშობლები ორ აკვანს ვერ „ნაიყვანდნენ“ — არ შეიძლებოდა, ასეთ შემთხვევაში მეორე აკვანი ქმრის ოჯახს უნდა გამოეწყო. აკვანამდე ბავშვს სანოლს ზოგ რაიონში „ჩაჩაბე“ ეწოდება, ზოგში — „ორდგა“ ან „ტებიაც“; იგი მუხის მოთელილი ქერქის მთლიანი ნაჭერია. მასში ნაზ ქსოვილს ჩააფენდნენ, ჩვილს ჩაანვენდნენ და არტახებით მტკიცედ ჩააკრავდნენ, ეს სხეულის ფიზიკური აღნაგობის კეთილშობილებისა და შეკვრის ჩვევის შესაქმნელად იყო გამიზნული.

სამეგრელოშიც პირველად ბავშვს აკვანში „ბებია ქალი“, დედა ან დედის ნათესავი ქალი აწვენდა. თან დალოცავდა კიდევ. სამეგრელოში გავრცელებული იყო აკვნის შემდეგი სახეები: ლაზური — მთლიანი ფიცრებისაგან შეკრული, ჩარხული და სარწვევი.

სამეგრელოში აკვანს, ისევე როგორც მთელ საქართველოში, მეტად დიდ პატივს სცემდნენ და დიდი მოკრძალებითა და სიყვარულით ეპყრობიან, აკვანი ხალხის წარმოდგენაში თითქოს გასულიერებულია დამას, როგორც სულიერ არსებას ისე მიმართავდნენ. აკვანი, რომელშიც ბევრი ბავშვი იყო გაზრდილი, ბედნიერ აკვანად ითვლებოდა. ხალხის რწმენით, ასეთ აკვანში ბავშვი კარგად გაიზრდებოდა და ბედნიერი იქნებოდა, თუ ოჯახს არ „ჰყავდა“ აკვანი, იგი მეზობლისაგან ოთხოვებდა ბედნიერ აკვანს და მასში აწვენდა ჩვილს, ვიდრე ქალის მშობლები „მოუყვანდნენ“ განყოფილ აკვანს. ნათხოვარი აკვნის უკან დაბრუნება ცარიელისა არ შეიძლებოდა, მას უსათუოდ რაიმე საჩუქართან ერთად დაუბრუნებდნენ პატრონს. ეს იმიტომ, რომ ის ოჯახი კვლავაც გამრავლებულიყო და დოვლათი და ბარაქა ჰქონოდა.

როგორც აღვნიშნეთ, განყოფილი აკვანი „მოჰყავდათ“ ქალის მშობლებს ბავშვის დაბადებიდან მესამე — მეოთხე დღეს, აკვანს მოზარდს ხელში დააკავებინებდნენ და მასვე

„შეაყვანინებდნენ“ ოთახში. აკვანში ბავშვის „ჩაჯენას“ ერიდებოდნენ, პატარა იქნება, მაღალი არ გაიზრდებო, ცარიელი აკვნის დარწვევა არ შეიძლებოდა — ბავშვს მუცელი ეტკინება, მოსვენებას დაკარგავსო. აკვანს ამზადებდნენ მსუბუქი ხისაგან, როგორცაა თელა, ცაცხვი, ნაბლი, ფიჭვი, ნიფელა. ყველაზე კარგი იყო თელა, მაგრამ შედარებით ძნელად იშოვებოდა. მსუბუქ ხეს იმიტომ არჩებდნენ, რომ აკვნის ყოველი ნაწილი გამოჩუქურთმებული უნდა ყოფილიყო და დასამუშავებლად ადვილი იქნებოდა.

აკვნის დასამზადებლად განკუთვნილ ხეს ჭრიდნენ სავსე მთვარის დროს. ყველაზე კარგი იყო იანვარში მოჭრილი ხე. ზაფხულში ხის მოჭრა არ შეიძლებოდა, არ ივარგებდა. ხეს დახერხავდნენ ფიცრებად და აშრობდნენ ჩრდილში, ცალ-ცალკე, მათუ ერთმანეთზე დაწყობა გაშრობის დროს არ შეიძლებოდა. ვინაიდან ფიცარი ილუნებოდა და სკდებოდა. ფიცრის გაშრობას სამი-ოთხი თვე მაინც სჭირდებოდა. ხესაც გააჩნდა, მაგალითად, ცაცხვი ადრე შრება, თელა — უფრო გვიან. ერთი კუბამეტრი ხის მასალისაგან 12,13 აკვნის დამზადება შეიძლება.

კალმის (შიბაქის) გასაკეთებლად ყველაზე კარგი იყო ლელვის, არყისა და ალვის ხე. ეს ხეები რბილია და გასაბურღად ადვილი, კალამი (შიბაქი) ორი სახის იყო ბავშვის სქესის მიხედვით.

ორშაბათს დღეს ხელოსანთან აკვნის წასლებად არავინ მივიდოდა. მის წასალებად კარგი ხელის მქონე ადამიანს მოიყვანდნენ. ჭიშკრიდან ხელოსანი გაუტანდა, აკვანს მარჯვნივ შემოაბრუნებდა, დალოცავდა და გაატანდა.


სამეგრელოში, ხალხში გამჯდარი იყო ავი თვალის არსებობის ცრურწმენა, რის გამოც აკვნის ბავშვს წლის განმავლობაში გარეთ არ გამოიყვანდნენ, უცხო თვალს არ დაანახებდნენ. წლამდე სტუმარი ღამე რომ მოსულიყო, მას ბავშვს არ აჩვენებდნენ, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ აკვნის ბავშვს და საერთოდ, ჩვილ ბავშვს ღამ-ღამობით ავი სულები ეტანებოდნენ. ავი სულებისაგან დასაცავად ბავშვს გარეთ გამოყვანისას შუბლზე ნახშირით ჯვარს უკეთებდნენ, აკვანში თავქვეშ მაკრატელს, დანას ან ლურსმანს დაუდებდნენ. აკვანზე შებმული ჰქონდათ: ჯვარი, ქარვის მძივი — სიყვითლე არ დაემართებო, ტყამ — მაფა, ალიშ კიბირი — ბავშვი არ დაიჟამებო, გორდიშ — ატარი (ნიჟარა).

# ერის სამზელოს წიგნი

„...სამეგრელო იყო ერთსულ და ერთგულ იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდებოდა.“  
/ილია ჭავჭავაძე/

არის წიგნები, რომლებიც მარადიულობისთვის იბადებიან. ისინი ერის სამზეოდან არასოდეს გავლენ, რადგან მათში შენივთებულია, შეხიზნულია როგორც ერის წარსული საზოგადოებრივი ცხოვრება, ისე აწყმოს რეალობა, ამასთან მოჩანს მომავალიც. თითოეული მათგანის წაკითხვას დიდი ემოციები ახლავს. „მკითხველი იგივეა წიგნისთვის, რაც ბებიქალი ახალშობილისთვის. იმან უნდა „ამოაღებინოს ხმა“, იმან უნდა „დააჩხავლოს“ პირველად“ (ოთარ ჭილაძე).

გადავწყვიტე, ერთ დიდ და მნიშვნელოვან წიგნს ამოვალბინო ხმა. მის შინაგან სამყაროზე გესაუბროთ. ის ერთი წელია რაც დაიბადა, ახლა უკვე ჩვენი, მკითხველის, წინ დგას და „რა თქმა უნდა, შეფასებას ელოდება. 2015 წელს გამომცემლობა „ივერიონმა“ (გამომცემელი ზაურ ნაჭყებია) გამოსცა 580 გვერდიანი წიგნი „ზუგდიდი–წარსული და თანამედროვეობა“.



როგორც წიგნიდან ჩანს, მისი შექმნის იდეა ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს ვახტანგ კვარაცხელიას ეკუთვნის. საზოგადოება „ზუგდიდელს“ შესთავაზა, რომ ამ ქალაქის ისტორიაზე საცნობარო–ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი შეექმნათ. საზოგადოების თავკაცმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ოთარ ფაცაციაძემ და მისმა თანამოაზრეებმა მხარი დაუჭირეს შემოთავაზებულ იდეას. წიგნის შექმნაში ფართოდ ჩაება საზოგადოება, მონაწილეობდა 200–ზე მეტი სხვადასხვა პროფესიის ადამიანი. გამოყენებული იქნა 1500–ზე მეტი წყარო. წიგნი შედგება 14 თავისგან, თითოეულ მათგანს თავისი ავტორი ჰყავს. აღნიშნულ ნაშრომში შესაბამის მეცნიერულ მიდგომებსა და მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით საინტერესოაა განხილული ზუგდიდის ტერიტორიის მდებარეობა, ბუნება, ბუნებრივი რესურსები, არქეოლოგიური ძეგლები, ისტორიული განვითარების ეტაპები, თავისებურებები, ტენდენციები, სოფლების ისტორია, დემოგრაფიული ვითარება, მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება, საეკლესიო ცხოვრება, ეკონომიკური განვითარება, მრეწველობა, სოფლის

მეურნეობა, ტურიზმი, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა მეცნიერება, მწერლობა, თეატრი, მუზეუმები, სპორტი, მხატვრობა...წიგნს ერთვის მნიშვნელოვანი ფოტომატია. წიგნის წაკითხვის შემდეგ გეუფლებათ რწმენა იმისა, რომ ამ ნაშრომის ავტორებს ქვეყნის სხვა რეგიონებიც მიბაძავენ. პირველი განცდა გახლავთ ის, რომ, ფაქტობრივად, წიგნიდან იმზირება მთელი საქართველო, მისი წარსული და დღევანდელი. ამიტომ რთულია წიგნზე, მის თითოეულ თავზე მოკლედ და თანაც ღრმად საუბარი. გადავწყვიტე წიგნის XIV თავთან გამეკეთებინა ვირტუალური ინტერვიუ. იგი დაწერილია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოსის ბატონ ნოდარ ჭითანავას მიერ. რადგან მასში არა მხოლოდ ზუგდიდის, არამედ დღევანდელი საქართველოს ტკივილიც და პრობლემაცაა ასახული. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ბატონ ნოდარს დიდი წვლილი მიუძღვის ამ

არაჩვეულებრივი წიგნის შექმნაში, იგი რედაქტორთა საბჭოს ხელმძღვანელობდა.

პირველ ყოვლისა, წიგნის შესახებ. წინამდებარე ნაშრომი თვალნათლივ ადასტურებს არა მხოლოდ იმას, რომ ზუგდიდს მრავალსაუკუნოვანი საინტერესო და სახელოვანი წარსული აქვს, არამედ გვიჩვენებს იმ სტრატეგიული რესურსების მრავალფეროვნებასა და სიცოცხლისუნარიანობას, რომლებიც მათი რაციონალური გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ თანამედროვე სტანდარტებით ეკონომიკის ჩამოყალიბება–ფუნქციონირებას, ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება–განმტკიცებას, მოსახლეობის კეთილდღეობის მაღალ დონეს. ამით კი, როგორც ყოველთვის, მომავალშიც ზუგდიდი თავის ისტორიულ როლსა და ადგილს დაიმკვიდრებს საერთოდ ეროვნული ფენომენის, კერძოდ ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება–განმტკიცებაში.

— პუბლიკაციას ნამძღვარებული აქვს შემდეგი სიტყვები: „წარსულის, აწყმოსა და მომავლის ერთიანობა“. რაში მდგომარეობს ამ სამი დროის ურთიერთკავშირი?

— „ანმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი

მომავალისა“ – ქართულ ცნობიერებას ნაზიარებ ამ სენტენციას დიდი დატვირთვა აქვს დღესაც, მით უფრო მომავლისთვის. იგი გვახსენებს, რომ ეროვნული განვითარების პროცესი დროთა ურთიერთგანპირობებულობის მაღალი ხარისხით, მიზანმიმართულად და თანამიმდევრულად უნდა წარიმართოს. წარსულისა და დღევანდულობის სწორად გააზრება და მის საფუძველზე მომავლის შეუმცდარად განსაზღვრა თავად არის განვითარების სტრატეგიული რესურსი. ბუნებრივია, ქვეყნის განვითარების განმსაზღვრელს წარმოადგენს დროის მოთხოვნების შესაბამისად ეროვნული იდეის ფორმირება, რომლის გარშემო მოხდება მოსახლეობის კონსოლიდაცია და მიიღწევა ეროვნული (სოციალური) თანხმობა. ამ პირობა-ფაქტორს უკანასკნელ წლებში ქვეყანაში მიმდინარე კატაკლიზმების გამო (სამეგრელო, კერძოდ ზუგდიდი სამოქალაქო დაპირისპირების და ტრაგიკული მოვლენების ცენტრი გახდა) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

**თანამედროვე პირობებში საქართველოსთვის მთავარ ეროვნულ იდეად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს სახელმწიფოს იდენტურობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება-განმტკიცება, ქართული ფენომენის თვითგანვითარების უნარის უზრუნველყოფა, გლობალური პროცესების აქტიურ სუბიექტად გადაქცევა.** ეს იდეა ლოგიკურად, ურთიერთგანპირობებულობის მაღალი ხარისხით (უწყვეტობა) ამთლიანებს ქვეყნის წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ამასთან, ეს იდეა-სტრატეგია გათანამედროვეებული, სრულყოფილი ტრადიციებით, მენტალიტეტით, რწმენით, ქართული სახელმწიფოს ახალი როლისა და ფუნქციების დროსთან მიმართებაში გაცნობიერებით ადეკვატურად პასუხობს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური, ეკოლოგიური პროცესების გადაკვეთაზე ჩამოყალიბებულ ახალ პარადიგმას-გლობალური აზროვნების, ლოკალური მოქმედებისა და სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის ერთიანობის პრინციპს.

— **შემოთავაზებული ეროვნული იდეის კონტექსტში განვითარების დღევანდელ ეტაპზე რომელ ფაქტორებს უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა?**

— განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქართული სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების განსაზღვრას თანამედროვე ცივილიზაციათა ურთიერთობებში. ასეთად უნდა მივიჩნიოთ, ფართო გაგებით, ქართული კულტურა, რომელიც მართლმადიდებლობის ფუნდამენტურ პრინციპებს ეფუძნება და დროსთან მიმართებაში სრულყოფას განიცდის. გამოირჩევა მრავალფეროვნებით, თავისთავადობით, მთლიანობით, სრულყოფილად

გამოხატავს ეროვნულ ხასიათს, პატრიოტულ, კაცთმოყვარეობის, თავისუფლების, თანასწორობის ჰუმანურ იდეალებს. მუდმივად (ისტორიული პაუზის გარეშე) ემსახურებოდა (ემსახურება) ეროვნულ სტრატეგიულ ინტერესებს. მომავალშიც საქართველომ მსოფლიოს პროცეს-შენაკადის სახით უნდა შესთავაზოს საკუთარი კულტურა, როგორც მისი ექსკლუზიური ნივთიერი კაცობრიობის განვითარებაში. ამიტომ, ეროვნული კულტურის განვითარება უნდა ვალდაროთ ზოგადეროვნულ მიზნად. ბუნებრივია, ზუგდიდმა ამ ზოგადეროვნული მიზნის განხორციელებაში მისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიკავოს.

— **რა სჭირდება შემოთავაზებული ეროვნული იდეა-სტრატეგიის განხორციელებას?**

— ამის განხორციელებას სჭირდება, პირველ ყოვლისა, დროის მოთხოვნებთან ადაპტირებული, ქართული სახელმწიფოებრიობის პრინციპებისა და ტრადიციების ერთგული სახელმწიფო, რომლის მუდმივი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება, ისტორიული გამოწვევების პროგნოზირება, ადამიანისა და საზოგადოების ინტერესების განუხრელი დაცვა, ერის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილება. ამ ამოცანების შესრულებას სჭირდება ახალი ტიპის სახელმწიფო, რომელიც გლობალიზაციის შემოთავაზებულ გამოწვევებს უპასუხებს, უზრუნველყოფს საზოგადოებაში ძველი და ახლად აღმოცენებული ინტერესების დაბალანსებას, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთლიანობითი სისტემის ელემენტების ურთიერთქმედების ეფექტიანობას.

ამ რთული ამოცანების განხორციელებას შეძლებს მხოლოდ ისეთი სახელმწიფო, რომელიც სამართლებლივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული აგებულებით, მიზნებითა და მათი რეალიზაციის მექანიზმებით ეყრდნობა, დემოკრატიისა და სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან ერთად, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის პრიორიტეტს.

— **გლობალიზაცია თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს შეუქცევადი პროცესია. არსებობს მოსაზრება, რომ იგი საფრთხეს უქმნის პატარა ერების კულტურათა თვითმყოფობას. როგორ უნდა უპასუხოს საქართველო ამ დიდ გამოწვევას?**

— ამისთვის საჭიროა ქვეყანამ გლობალურ პროცესებთან ადაპტირების სტრატეგია შეიმუშაოს ინდივიდუალურად, საკუთარ ისტორიასთან, ტრადიციებთან მიმართებაში, იხელმძღვანელოს პრინციპით: „არც ეროვნული ცნობიერებისა და გამოცდილების ნაჭუჭში ჩაკეტვაა სწორი და არც ეროვნული ნიადაგისგან მოწყვეტა“. სახელმწიფოს სწორედ ასეთ სტრატეგიაში საკუთარი ადგილი უნდა

დაიკავოს ზუგდიდის, როგორც ტერიტორიული ერთეულისა და რეგიონული ცენტრის, მმართველობამ. ეს კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის სისტემა.

**– ნიგნში ხაზგასმულია, რომ ზუგდიდში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესი შეუქცევადია. რა უდევს საფუძვლად ამ დასკვნას?**

ისე როგორც მთლიანად ქვეყანაში, ზუგდიდშიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა მივიჩნიოთ სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების შეუქცევადი პროცესი, რომელიც მრავალმხრივობით გამოიჩინება და წინააღმდეგობრივად ვითარდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება-ფუნქციონირების განვითარებული ქვეყნების რომელიმე მოდელზე ორიენტაცია როგორც ადრე, ასევე მომავალშიც დამატებით სირთულეებს შექმნის. ეს იმიტომ, რომ ყველა ქვეყანას აქვს თავისი ნარსული, ტრადიციები, მეურნეობრიობის გამოცდილება, რელიგია, კულტურა, ურთიერთდამოკიდებულების (სისხლით ნათესაობის) პრინციპები, ოჯახის როლის თავისებურებები და სხვ. ამასთან, ამჟამად სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირებაზე (მით უფრო ფორმირებაზე) უშუალო გავლენას ახდენს გლობალიზაციის პროცესები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში უპირისპირდება ეროვნული კულტურის ფუძემდებლურ პრინციპებს. ჩვენთან სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესი მიმდინარეობს რეგულაციური კატაკლიზმების ფონზე, თანაც დემოკრატიული სახელმწიფოსა და საბაზრო ეკონომიკის ფორმირებასთან ერთად. გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო საზოგადოებაში განმსაზღვრელი უნდა იყოს არა მხოლოდ ინდივიდის ინტერესები, მისი როლის გააქტიურების პრინციპები, არამედ მასთან ერთად ოჯახის ფუძემდებლური როლისა და ფუნქციების სწორად გაცნობიერება.

**– არის თუ არა ოჯახი სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი საყრდენი?**

**– ქართული ოჯახი (კომლი) ისტორიულად ყოველთვის ასრულებდა როგორც ქვეყნის საზოგადოებრივი, ასევე ეკონომიკური ორგანიზმის ფუნქციას და ასევე ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ძლიერი საყრდენი იყო. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში გამოიკვეთა ოჯახის პოლიტიზების მკაცრი ხასიათი, ოჯახის წევრების მსოფლმხედველობითი პოზიციების დაპირისპირება და სხვა მანკიერებანი, რაც ხელს უშლის ოჯახის, როგორც ერის თვითმყოფადობის ბურჯის, განმტკიცებას. ამასთან არის დაკავშირებული მწვავე დემოგრაფიული სიტუაცია, რომელმაც უკანასკნელ**

**წლებში მიიღო საშიში ხასიათი.**

ისე როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე ზუგდიდში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესის ქვეყნის ინტერესების დაცვით რეგულირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანაა. ამიტომ იგი უნდა განხორციელდეს ზოგად ეროვნულისა და ტერიტორიული ერთეულის თავისებურებებისა და ტრადიციების ორგანული შერწყმით.

**– რამ განაპირობა ზუგდიდისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უკიდურესად დაბალი დონე?**

– საქართველოს, რა თქმა უნდა, ზუგდიდის ეკონომიკის განვითარებაში კრიზისული მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განაპირობა სხვადასხვა დროს სახელმწიფოს არასწორმა (არაადეკვატურმა) სოციალ-ეკონომიკურმა პოლიტიკამ. ეროვნული ეკონომიკის კრიზისულმა მდგომარეობამ არსებითად განაპირობა ზუგდიდისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უკიდურესად დაბალი დონე. რეგიონის განვითარების დინამიზმს განსაზღვრავს საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და ეროვნულ ინტერესებს მორგებული განვითარების (მოდერნიზაციის) ერთიანი მოდელი.

საქართველომ უარი უნდა თქვას გარედან თავს მოხვეულ სტერეოტიპზე. ქვეყანას უნდა ჰქონდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკუთარი მოდელი, რომელიც რამდენიმე პრინციპს უნდა დაეფუძნოს.

პირველი. მეურნეობის მსოფლიო გამოცდილება (თავისებურებები, ტენდენციები, კანონზომიერებები) და ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, მისი თანმდევი სოციალური მოვლენები და წინააღმდეგობრივად ფორმირებადი საზოგადოებრივი მენტალიტეტი ეროვნული რაკურსით განვიხილოთ და ქვეყნის თვითმყოფადობის მომავალთან მიმართებაში გავაცნობიეროთ. საკუთარი ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით და არა რომელიმე ქვეყნის (ან ზესახელმწიფოებრივი) სტრუქტურების მიერ შემოთავაზებული დოქტრინებით (მოდელებით) განვსაზღვროთ განვითარების სტრატეგიის ფუძემდებლური პრინციპები.

მეორე. გარკვეული სიფრთხილით უნდა მივუდგეთ გლობალიზმის, როგორც მოვლენის, რეალობის, პროცესის შეფასებას. გასათვალისწინებელია ობიექტური რეალობა, რომ ეროვნული ეკონომიკა მსოფლიო გლობალიზმის მიღმა, ეფექტიანად ფუნქციონირებას ვერ შეძლებს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველოს მომავალი ეკონომიკური სისტემა, აშშ-ს, ევროპის, ჩინეთის, რუსეთის, სინგაპურისა თუ სხვა ქვეყნის თარგზე არ შეიქმნება. მომავალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა ეროვნულ

ფენომენს დაეფუძნება.

ასეთ სისტემად მიგვაჩნია შერეული (მრავალსუბიექტიანი) სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა. იგი ეკონომიკური (მრავალსუბიექტიანობა), სამართლებრივი (საკუთრების ფორმირების პლურალიზმი), ორგანიზაციული (საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების სიმბიოზი), მმართველობითი (განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა და მართვა), ზნეობრივი (აღმართების კეთილდღეობის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა) პრინციპების ერთობლიობას ეფუძნება და ემსახურება მკაფიოდ გამოხატულ სოციალურ-პოლიტიკურ მიზანს-ცხოვრების მაღალი დონის (ხარისხის) მიღწევას და სტაბილიზაციას.

მესამე. ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების ამოცანების ფონზე უნდა ჩამოყალიბდეს „სახელმწიფო-რეგიონის“ ურთიერთობათა ახალი სისტემა. მისი სიმტკიცის აუცილებელ პირობად უნდა მივიჩნიოთ კომპლექსურობა, რომელიც დაეფუძნება ორმხრივი ინტერესების კომპრომისს.

— როგორი ურთიერთობა უნდა იყოს ცენტრსა და რეგიონს ანუ ტერიტორიულ ნაწილს შორის?

— ცენტრი და რეგიონი (ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი) მოქმედებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრინციპით, სახელმწიფო და რეგიონული ინტერესების შეხამებით და ერთიანი პოლიტიკური სქემით: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება წარმართოს ერთიან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სივრცეში.

თითოეულ მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონდეს განვითარების საკუთარი პროგრამა, რომელშიც მეთოდოლოგიურად სწორად უნდა განისაზღვროს ამოსავალი საწყისები. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მოცემული ტერიტორიის ბუნებრივ-რესურსული, ეკონომიკური, სოციალურ-დემოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვა მახასიათებლების დიაგნოსტიკა. ეს იძლევა საშუალებას რეალურად მოხდეს განვითარების რთული პროცესის პროგნოზირება, რაც საფუძვლად დაედება სტრატეგიული ამოცანების განხორციელებისათვის მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას.

ამასთან, საჭიროა ტერიტორიის განვითარების მაჩვენებელთა სისტემა (შესაბამისი კრიტერიუმებით) გამოვიყენოთ. მაგალითად, მშპ ტერიტორიული მაჩვენებელი, მოსახლეობის ერთ სულზე შესაბამისი მონაცემები, ცხოვრების დონის მაჩვენებლები, ინვესტიციები, სამეურნეობათაშორისო კავშირები და სხვ.

მუნიციპალურ განვითარებაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს საკუთრებით ურთიერთობებში მისი როლისა და ადგილის სწორად განსაზღვრას. მუნიციპალური საკუთრება უნდა გაემიჯნოს საკუთრების სხვა ფორმებს (მათ შორის სახელმწიფო

საკუთრებასაც). გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამედროვე პირობებში მუნიციპალიტეტმა, ექსტრემალური გარდამავალი პერიოდის გავლენით, შეიძინა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია-ტერიტორიის რეგულირების ფუნქცია. მუნიციპალიტეტი ერთდროულად ცენტრის (სახელმწიფო) და საკუთარი ტერიტორიული ინტერესების დაცვის ფუნქციას ასრულებს. ამიტომ მას შესაბამისი ფინანსური და ორგანიზაციული ბაზა უნდა ჰქონდეს.

— ნიგში ხაზგასმით არის აღნიშნული მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი მზარდი გავლენის მნიშვნელობის შესახებ თანამედროვე პირობებში, რამ განაპირობა იგი?

— უკანასკნელ წლებში ზუგდიდში, ისე როგორც ქვეყნის სხვა რეგიონებში, მკაფიოდ გამოიკვეთა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლისა და გავლენის მზარდი ტენდენციები. ეკლესიის განვითარების მიმდინარე პროცესი ხასიათდება დიდი მასშტაბებით, წინააღმდეგობრივია და თანამედროვე გლობალიზაციის უშუალო ზეგავლენას განიცდის. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სახელმწიფოსა და ეკლესიის საქმიანობის კოორდინაცია. ეს თვით ერის (ქვეყნის) განვითარების ლოგიკიდან გამომდინარეობს და შეესაბამება მის სტრატეგიულ ინტერესებს. ამიტომ ამ პროცესის ობიექტური ანალიზი და შეფასება, მისი შემდგომი გაღრმავების სწორი მიმართულებების განსაზღვრა ქართული მეცნიერებისა და ეკლესიის უმთავრესი ამოცანაა. გასათვალისწინებელია ის, რომ „ქრისტეს სჯული ქართველებისათვის მართო სარწმუნეობითი აღსარება კი არ იყო. იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალწინააღმდეგობის გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა“ (ილია).

საერთოდ, ქვეყანაში (და მსოფლიოში) მიმდინარე რთული პროცესების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი პროცესი ცალმხრივად, მხოლოდ ეკონომიკის (ყოფიერება) განვითარებით არ მიიღწევა, აუცილებელია სულიერი ცხოვრების სრულყოფა. აქ კი განუზომლად დიდია ქართული ეკლესიის როლი, რომელმაც ისტორიულ ქარტახილებში გამოატარა მამულის, ენისა და სარწმუნოების ერთიანობით შემტკიცებული ქართული ფენომენი.

ქართული სახელმწიფოსა და ქართული ეკლესიის ურთიერთკავშირების ისტორიული გამოცდილების შესწავლა-ანალიზი, ერის კოსოლიდაციის რთული ამოცანა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ილია ჭავჭავაძის მიერ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს შემოთავაზებულ, დღევანდელი პოზიციიდან კაცობრიობის განვითარების რთულ ფორმულას, რომლის არსია „მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგება, ერთმანეთის

შეუბღალავად და დაუმონებლად“. ამ რთული პრობლემის გადაწყვეტა ქართული სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობლივი ძალით არის შესაძლებელი. დიდა ამ საქმეში რეგიონული ფაქტორის როლი.

**— დღევანდელ საქართველოში როგორია თაობების ინტერესების ერთიანობის დაცვის პრინციპი?**

— ზუგდიდის განვითარების ფონზე კარგად ჩანს, რომ ქვეყანაში უკანასკნელ წლებში უგულვებელყოფილ იქნა საზოგადოების წონასწორობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი—უფროსი, საშუალო და უმცროსი თაობების ინტერესების ერთიანობის დაცვის პრინციპი. რაც ლოგიკურად აისახა რეგიონების განვითარებაზე.

ცნობილია, რომ უფროს თაობას აქვს დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება (ამავდროულად დიდი დამსახურება ქვეყნის წინაშე), საშუალო თაობას—თანამედროვე ცოდნა, საზოგადოებრივი ენერჯია და რეალურ ცხოვრებას ნაზიარები მართვის გამოცდილება (მის მსოფლმხედველობაზე და ნებაზეა არსებითად დამოკიდებული თუ როგორ განვითარდება ქვეყანა), უმცროსი თაობა ერის სოციალური ენერჯის წყაროა. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყანა მაშინ აღწევს წარმატებებს, როცა სამივე თაობის ინტერესებს ამთლიანებს და მათ პოტენციალს სათანადოდ იყენებს და ამით მთავარ მამოძრავებელ ძალად გარდაქმნის. სხვა შემთხვევაში ქვეყნის განვითარებაში დიდი პაუზა დგება. ასე მოხდა ჩვენს ქვეყანაშიც. ასაკობრივმა დისკრიმინაციამ და თაობათა შორის ინტერესების დაპირისპირებამ, ხელი შეუწყო სოციალური დაძაბულობის გაღრმავებას, ეროვნული ფენომენის დაშლის პროცესს. ექსტრემალურ პირობებში (პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური კატაკლიზმების ფონზე) უმცროს თაობას (რომელსაც სახელმწიფოს მართვის გამოცდილება არ ჰქონდა), არაბუნებრივი ამოცანის შესრულება დაეკისრა—ექსტრემალურ პირობებში ქვეყნის სტრატეგიული განვითარების ლიდერის როლი.

სახელმწიფო პოლიტიკა სტაბილური არ იყო, დროის ცვალებადობით შემოთავაზებულ გამონ-ვევებს ვერ პასუხობდა და ამიტომ სპონტანურად შექმნილი სიტუაციების შესაბამისად „ყალიბდებოდა“. სამწუხაროდ, იგი მწირი ცოდნისა და ღარიბი მსოფლმხედველობითი ადამიანების („ოკეანე-დაღეულთა“) გატაცებათა და ილუზიების რეალი-ზაციის ინსტრუმენტი გახდა. სახელმწიფოს პოლიტიკამ მთავარი ნიშნები—სერიოზულობა, კომპეტენტურობა, მანევრირების ადეკვატური უნარი დაკარგა. ამიტომ ქვეყნის ტრანსფორმაციამ (როგორც ბუნებრივად ობიექტურმა მოვლენამ) მთლიანობით პროცესის ფორმაც და შინაარსიც

დაკარგა და ქვეყნის ახალ თვისებრიობაში გასავლის ობიექტური პროცესი დამანგრეველი ფაქტორი გახდა. ქვეყანამ გაუმართლებელი დანაკარგები განიცადა. ასეა რეგიონებშიც. ქვეყნის პარლამენტის მიერ 2011 წელს მიღებული ე.წ. თავისუფლების ქარტია, რომელიც ხელოვნურად შეთითხნილ პრეტენზიებს ეყრდნობოდა, რეალურად წარმოადგენს „კლასობრივი ბრძოლის“ თეორიით ნასაზრდოებ, მაგრამ რაფინირებულ (დემოკრატიის შენიღბული ფორმით) „ბასრ იარაღს“ ეროვნული ფენომენის შიდა ფაქტორებით დაშლის პროცესის გაღრმავებისთვის.

**— როგორია ზუგდიდის, ასევე სხვა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების პრიორიტეტები?**

— ზუგდიდის, ისე როგორც ნებისმიერი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის განვითარება, ბუნებრივია, განიხილება ზოგადე-როვნული და საერთო-სახელმწიფოებრივი პრიო-რიტეტების კონტექსტში. ესენია: ქართული კულ-ტურის განვითარება; ახალი ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება, ახალი ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება და ახალი ტიპის საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება.

ამ პრიორიტეტების ფონზე უნდა განვიხილოთ დარგობრივი, ეტაპობრივი და რეგიონული პრიორიტეტებიც. დღეს საქართველოსათვის დარგო-ბრივი პოზიციებიდან ასეთი პრიორიტეტებია: სამრეწველო (ენერჯეტიკის) პოტენციალის გან-ვითარება, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება და განათლებისა და მეცნიერების განვითარება. ეს სამერთიანი სტრატეგიული პრიო-რიტეტია. მისი თანამიმდევრულად განხორციე-ლება სახელმწიფოსა და საზოგადოების უდიდესი ძალისხმევით უნდა მოხდეს, ყველა რეგიონი თავისი ბუნებრივ-საწარმოო პირობებისა და მეურნეობრიობის ტრადიციების მიხედვით ქვეყნის პრიორიტეტებიდან აკონკრეტებს საკუთარი განვითარების ძირითად მიმართულებებს, მათ შორის ისეთს, რომელსაც როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, ასევე ლოკალური ხასიათიც აქვთ.

**დღევანდელ ვითარებაში ქვეყნისა და ნებისმიერი რეგიონის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიმართულება ეკონომიკური განვითარებაა (ზრდა).**

ნიგნზე „ზუგდიდი—წარსული და თანამედროვეობა“ ბევრს არ მიუწვდება ხელი. ამიტომაც გადავწყვიტე ინტერნეტსივრცისთვის გამეზიარებინა ჩემი ზოგადი შთაბეჭდილებანი.

**მაია გალიაშვილი**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ლოქტორანტი

შურნალ „სამეგრელო“ №6(53) გვარდი 26, გაიპარა მნიშვნელოვანი შეცდომა, ავტორის, ლეილა ნოღიას ნაცვლად მითითებული იყო სერგი მაკალათია. რედაქცია გოდის იხდის არსებული გაუგებრობის გამო.

# ისტორიულ-გეოგრაფიული ურთიერთობები სამეგრელოში ლეილა ნოღია

შუაქალაქის ადგილას დღეს არავითარი ნაგებობა ან უძველესი დიდების კვალი არ არსებობს: არც რიონია მის მახლობლად. ახლა რიონი მისგან სამხრეთით, თითქმის კოლომეტრნახევარზეა გადანული. მაგრამ 1958 წელს ამ მიდამოებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი მასალები: ანტიკური ხანის ჭურჭელთა ფრაგმენტები, ჩუქურთმიანი ქვები, მეტალურგიული ნაშთები, ანტიკური საცრემლე, ორნამენტური ქვები... ცხადყოფენ, რომ აქ ქალაქი არსებობდა. რიონი შემდეგ მრავალჯერ გადმოსულა კალაპოტიდან და უძველესი ქალაქის ნაშთები ქვეშ მოუყოლია. აქ შეკრებილი გადმოცემები და ლეგენდები ადასტურებენ, რომ ფოთიდან რიონით შუაქალაქში ამოდიოდნენ გემები. აქ ყოფილა მაღალი და ლამაზი სასახლეებით დამშვენებული ძველთაძველი ქალაქი... შუაქალაქი უძველესი „ფაზის-კოტაის“ სახმელეთო გზის ცენტრიც ყოფილა. ფოთიდან რიონით მიმავალი გემები აქ ჩერდებოდნენ. ეს იყო რიონზე ერთ-ერთი საიმედო ნავსადგური. მსგავსი ვარაუდი თავის დროზე აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამაც გამოთქვა: „ამ საგანზე პლინიუსი გვიამბობს: ყველაზე განთქმული პონტოს მდინარეთა შორის ფასიდი (ფაზისი) უდიდესი ხომალდებისათვის სანაოსნოა 38,500 ნაბიჯის (53,5 ვერსის მანძილზე) და შემდეგ დიდ სივრცეზე — მომცროთათვის (ნავებისათვის). პირდაპირი ხაზით ამ მანძილს დაახლოებით ორპირამდე მივყავართ, ნამდვილად კი საძიებელი პუნქტი, შესაძლოა, სუჯუნის რაიონში დაიდვას.“ შუაქალაქი სუჯუნის მახლობლად მდებარეობს. მეცნიერს, ეტყობა, ეს ვარაუდი გაკეთებული აქვს არა არქეოლოგიური მონაცემების, არამედ სხვა გეოგრაფიული და მანძილის გამოთვლის საფუძველზე, მაგრამ შუაქალაქის ტერიტორიის ზემოაღნიშნული გათხრების შედეგები ერთხელ კიდევ საფუძვლიან მოსაზრებად აქცევს ამ ვარაუდს. გადმოცემით დასტურდება ისიც, რომ

სამდინარო გზით გემებითა და „ფელუკებით“ (მცირე ნავებით) სუჯუნაშიც ამოქონდათ საქონელი ფოთიდან და შემდეგ იგი სუჯუნაში ნაწილდებოდა მთიან სამეგრელოში გასაგზავნად. მას შემდეგ, რაც რიონმა ადგილი ინაცვლა და სოფლებს ძლიერ დაშორდა, სუჯუნაში შემოიყვანეს არხი, რომლითაც აქ შემოდდიოდნენ ნავები (ფელუკები). ეს ღარი უალრესად მნიშვნელოვანი სავაჭრო არხი იყო. შემდეგ „ღარი“ ანუ არხი შეუერთდა ცუდლარს — ჭყონდარის ღარს და სეფიეთიდან რიონამდე გაიკაფა სამდინარო გზა, თუმცა, სუჯუნის ზემოთ ამ არხით დიდი ხანია აღარავინ ნაოსნობს. ჭყონდარს ცუდლარით ნოღის წყალი სანაოსნო მიზნით არ შეუერთებია სუჯუნის ღარისათვის. თუ სუჯუნის ღარით რიონის წყალი აქეთ შემოდდიოდა და შემდეგ ქალაქის გავლით ისევ რიონს უერთდებოდა, ახლა რიონის წყალმა შეწყვიტა დაბაში (სუჯუნაში) შესვლა, — თვით ცუდლარი იკვალავს გზას რიონისკენ, არხიც შემცირდა. ამიტომ მასზე უკვე ნაოსნობა არ შეიძლება.“ (გ. ელიავა. „აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი“, თბ., 1971 წ.) ცნობილი ქართველი მეცნიერის სიმონ ჯანაშიას მიერ ზემოთ მოყვანილი პლინიუსის მოსაზრების „სუჯუნის რაიონთან“ დაკავშირება და იქ ე.წ. „პუნქტის“ არსებობა სხვა გადმოცემებითაც დასტურდება. ისტორიულ წიგნებსა და წყაროებში სუჯუნაზე მასალების მოძიებისას, ერთ მომცრო ზომის წიგნს წავაწყდი, რომლის ავტორი, ისტორიკოსი ამბროსი კილასონია (1913 — 1996 წწ.) წარმოშობით აბაშიდან, სოფელ წყემიდან გახლდათ. ბატონი ამბროსი მეტად უცნაური ჰიპოთეზის დამტკიცებას ცდილობს წიგნში „კოლხეთი სამი ათასი წლის წინათ აიეტის მეფობის ჟამს“, თითქოს არგონავტების კოლხეთში მოგზაურობა ნავსადგურ „სუჯუნამდე“ ვრცელდებოდა. „კოლხეთზე, არგონავტთა ლაშქრობის მარშრუტი დადგინდა, რაც შემდეგი თანმიმდევრობით არის შესრულებული. ეგეოსის

ზღვის კუნძული ევბეა, ქ.იოლკოსი, დარდანელის სრუტე, მარმარილოს ზღვა, ბოსფორის სრუტე, შავი ზღვა, მდინარე რიონი, ნავსადგური სუჯინა, სოფლები ნორიო, წყემი, გეჯეთი და ქალაქ — სახელმწიფო აიაია. სანამ არგონავტების ლაშქრობა ჩატარდებოდა, მანამ კოლხებს გაუკვალავთ გზა ქალაქ — სახელმწიფოს დიდი გალავნის კარიბჭედან ნავსადგურ „სუჯუნამდე“, რომელიც აიეტმა ააშენა და დაარსა მდინარე არაქსზე, იგივე აბაშაზე. ... ძველი კოლხები ამ დაუსახლებელ ადგილებში თვითონ თხზავდნენ სახელებს. აქედან გამომდინარე, ნავსადგურისათვის სახელად „სუჯინა“ შეურჩევიათ. „სუ-ჯინა“ ქართულად ითარგმნება შემდეგნაირად „სუ“ რწყალი (არაბულად) „ჯინა“ ლოდინი (მეგრულად). ამ შემთხვევაში როგორც წყალზე მოსაცდელი, ნავსადგური. სუჯინამ, როგორც ნავსადგურმა, ადგილობრივი მართვის კვანძმა და სავაჭრო ცენტრმა, შეინარჩუნა თავისი უპირატესობა ძვ. წ. აღ. მეცამეტე საუკუნიდან ახ.წ. აღ. მეცხრამეტე საუკუნემდე, ფოთი-თბილისის სარკინიგზო ხაზის გახსნამდე.” (ა.კილასონია, „კოლხეთი სამი ათასი წლის წინათ, აიეტის მეფობის ჟამს“. გამომცემლობა „ეგრისი“, თბ., 2002 წ.). არ ვიცი, რამდენად სარწმუნოა ბატონი ამბროსის ვარაუდი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა აზრს აქვს არსებობის უფლება. კვლავ ძველ კოლხეთს დავუბრუნდეთ, ლეონტი მროველი ფარნავაზ მეფეს არა მარტო „ერთმთავრობის“, არამედ ქართველთათვის პირველი დამწერლობის შემქმნელადაც მოიაზრებს. შეიძლება ფარნავაზმა მართლაც დახვეწა ქართული ანბანი, მაგრამ კოლხებს რომ დამწერლობა ძვ.წ.აღ. III საუკუნემდე ჰქონდათ, ამას ძველი ბერძენი პოეტი აპოლონიოს როდოსელიც აღნიშნავს. ზემოთქმულს რომ დოკუმენტური სიმტკიცე შევიძინო, „არგონავტებიდან“ მცირე ამონაწერს დავიმონებ „მათ (კოლხებს) მენახული აქვთ თავიანთი მამებისაგან დანაწერი კირბები (იდიოგრამული ნიშნიანი ქვები), რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი.“ ამას პროფესორი აკაკი ურუშაძე ასე განმარტავს. „ცნობა კირბების შესახებ პირველად აპ.როდოსელთან გვხვდება. არგოსის სიტყვებით, კირბები კოლხეთის კულტურის მაუწყებლად უნდა ჩაითვალოს, რაც ჩვენში ანტიკური დამწერლობის არსებობაზე მიუთითებს.“ იგივეს ამტკიცებს მწერალი ვლ. ალფენიძე. „კარტოგრაფიისა და გეოგრაფიის (“კოლხური კირბები“) პირველი საწყისები უძველეს დროში

სწორედ კოლხებმა შექმნეს.“ მარტივად მუზეუმში დაცულია მეცნიერი მკვლევარის გივი ელიავას მიერ სხვადასხვა დროს აღმოჩენილი ხაზობრივი ნიშნიანი ქვები, ანუ კირბები. ქართული ენა კოლხებისათვის ოდითგან არის მშობლიური. ღვთისმსახურების ენა პირველად ბერძნული იყო. VII საუკუნეში კი ეკლესიებში დამკვიდრდა ქართული ენა. როგორც დიდი განმანათლებელი იაკობ გოგებაშვილი წერს: „...ისტორია მოგვითხრობს, რომ უხსოვარი დროიდან ქართული ენა მეგრელთათვის სარწმუნოებრივი ღვთისმსახურების, სასკოლო, სალიტერატურო და სასამართლო -ადმინისტრაციულ ენას წარმოადგენდა“. მეგრელები, რომლებმაც ქრისტიანობა აღმოსავლელ ქართველებთან შედარებით სამი საუკუნით ადრე მიიღეს, მხსნელ ქრისტეს ადიდებდნენ და ღვთისმსახურებას ასრულებდნენ თავის ძირითად — ქართულ ენაზე. ისინი ამას სჩადიოდნენ მხოლოდ საკუთარი სურვილითა და საზოგადოებრივი ინსტინქტის კარნახით. საეკლესიო კათედრა სამეგრელოს ფარგლებში არასოდეს არ ხმარობდა სხვა ენას, გარდა ქართულისა. ისეთი პერიოდებიც კი იყო, როდესაც სამეგრელოს ჭყონდიდის სამიტროპოლიტო კათედრას პირველი ადგილი ეჭირა ქართულ მჭერმეტყველებაში და თავისი წრიდან გამოჰყოფდა ხოლმე მთელ საქართველოში სახელგანთქმულ მქადაგებელთ. მეგრელთა ცნობიერებაში ქრისტიანობა ისე მჭიდროდ შეეზარდა ქართულ ენას, რომ ერთმანეთისაგან მათი დაშორების არავითარი შესაძლებლობა არც ყოფილა და არც არის.”(იაკობ გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტომი II, თბ., 1990 წ.). ახლა ისევ ბატონ გივი ელიავას ნაშრომს დავუბრუნდეთ: „სუჯუნა — აბაშის აღმოსავლეთისპირა მეტად საინტერესო ისტორიული წარსულის სოფელია. იგი ვრცელ ჭალაზეა გაშლილი. ეს სოფელი ოდესღაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო „ფაზის კოტაის“ სამდინარო და სახმელეთო გზაზე. გვიან, ალბათ, ჭილაიების ერთ — ერთი მნიშვნელოვანი სოფელიც იყო. შემდეგ, გვიან შუასაუკუნეებში, ჭყონდიდელთა საზამთრო რეზიდენციაც კი გამხდარა. კაპიტალიზმის შემოჭრასთან დაკავშირებით, სუჯუნა ჩრდილო ან შიდა სამეგრელოს სოფლებთან ვაჭრობის მნიშვნელოვანი კერა ხდება. ვაჭრებს აქამდე არხით ამოჰქონდათ საქონელი ფოთიდან. აქ იყო ბაზები და საქონლის გამანაწილებელი კანტორები. აქედანვე იგზავნებოდა შიდა რაიონებში საქონელი გასაყიდად. სუჯუნის გზა ტოპონიმიკაში „ჯვეში

შარად” — ძველ გზადაა მონიშნული — „მარტვილიში შარას” სახელწოდებით. იგი გაივლის აბაშას, სამიქაოს, ონოლიას, ნაჯახაოს, ლეხინდრაოს, ნაგვაზაოს და მარტვილში ჩადის. ეს გზა ყველგან აღინიშნება ძველი გზის სახელით. იგი უძველესი დროიდან მომდინარე მაგისტრალია, რომელსაც სუჯუნაში, ანდა ადრე შუაქალაქში უკიდურესი პუნქტი ჰქონდა. აღმოსავლეთ საქართველოს რიონისპირეთის ნაწილს კვეთდა სამი სავაჭრო და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის გზა, რომლის ჯვარედინზე იდგა სავაჭრო ქალაქები: კოდორი, შუაქალაქი, სუჯუნა, ისულა. კოლხეთის ამ გულის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რელიგიური ცენტრი ჭყონდიდი იყო, რომლისკენაც მიემართება „ჯვეში შარა”(გ.ელიავა „აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსესანიშნაობანი“, თბ., 1971 წ.). სუჯუნა განსაკუთრებით დანიშნაურდა დავით დადიანის მმართველობის (1840-1853) წლებში. ის იყო ევროპულად აღზრდილი და განათლებული მთავარი. დავითმა კარგად იცოდა, რომ სამეგრელოს ფაქტიურად რუსის მოხელეები განაგებდნენ. ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ

სამეგრელოს სამთავრო მალე გაუქმდებოდა და მოხდებოდა რუსეთთან შეერთება. ამის გამო მისი პოლიტიკური მოღვაწეობა და რეფორმები მიმართული იყო პირადი ქონების შექენაზე, რომ სამთავროს გაუქმების შემდეგ დარჩენილიყო დიდ მემამულედ. ევროპისა და რუსეთის მიბაძვით, დავითმა სამეგრელოში დაიწყო ახალი რეფორმების გატარება. დავით დადიანის თანამედროვე, საქართველოს მეისტორიე მარი ბროსსე, რომელიც ესტუმრა მთავარს 1848 წელს, აი, რაგვარად აღგვინერს სამეგრელოს მთავარს და მის საქმეებს: „ვინც იცნობს დავით დადიანს, ყველამ იცის, რომ სრულებით არა სჭირია მას კაცმა აქოს. ეს თავადი შესანიშნავია თავისი ჭკუით, შესანიშნავი თავისი აღზრდით, რომელიც მან ს. პეტერბურგში მიიღო; უცხოვრია ევროპაში და იქ ცხოვრების დროს გაეცნო ახალს აზრებს და იცის რა აკლია მის ხალხს, მის ქვეყანას და ყოველ ღონესა ხმარობს გააუმჯობესოს მდგომარეობა როგორც ერთისა, ისე მეორისა...”(ი. მეუნარგია, „სამეგრელო დავით დადიანის დროს“, თბ., 1939 წ.).

**ბაბრქალაბა შამღაზ ნოშიაძე**

# ქართველი კადეტი სანდრო გულუა

ქართველი კადეტი, სანდრო გულუა აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ დააჯილდოვა. სანდრო გულუამ აშშ-ის საჰაერო ძალების აკადემია დაამთავრა. აკადემიის 812 კურსდამთავრებულის გამოსაშვები ცერემონია კოლორადოს შტატში, ქალაქ კოლორადო სფრინგსის საჰაერო ძალების სტადიონზე გაიმართა.

თავდაცვის სამინისტროს იფნრომაციით, აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ახალგაზრდა სამხედრო მფრინავებს დიპლომები გადასცა და წარმატებული კარიერა უსურვა. სიტყვით მიმართვისას ბარაკ ობამამ ახალგაზრდებს შვიდწლიანი პრეზიდენტობის განმავლობაში მიღებული გამოცდილება გაუზიარა და აღნიშნა: „როდესაც ინვესტიციას ვდებთ განათლებასა და შესაძლებლობების განვითარებაში მსოფლიოს მასშტაბით, კონფლიქტები და სამხედრო ინტერვენცია სულ უფრო ნაკლებად საჭირო ხდება“.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, დაჯილდოების ცერემონიალს საქართველოს სამხედრო ატაშე აშშ-ში, პოლკოვნიკი ვეფხვია ჩალაბაშვილი



დაესწრო.რიგითი სანდრო გულუა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში 2012 წელს ჩაირიცხა. შესაბამისი კონკურსის გავლის შემდეგ, იმავე წელს, აშშ-ის საჰაერო ძალების სამხედრო აკადემიაში გააგრძელა სწავლა. სანდრო გულუა საქართველოში 18 ივნისს დაბრუნდა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში პროფესიული მოვალეობის შესრულებას შეუდგა.



სრულიად საქართველოს მცნობს



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ, დარჩელისა და კოკის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზებზე ინტენსიურად ბეტონის საფარის დაგება მიმდინარეობს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას განმარტებით, „ასფალტის საფარი მასიურად ბეტონის საფარით შევცვალეთ, ეს არის უფრო მდგრადი და 100 წელზე გათვლილი პროექტი.“

დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში დარჩელის ცენტრიდან ტელმანის ცენტრამდე 2300

მეტრზე გზის რეაბილიტაციამიმდინარეობს.

საავტომობილო გზა წლების განმავლობაში ამორტიზირებული იყო და გადაადგილება ავარიულ ვითარებას ქმნიდა. სარეაბილიტაციო გზის სიგრძე 2300 გრძივ მეტრს შეადგენს, სიგანე 5 მეტრს. ბეტონის საფარი, რომლითაც გზა დაიფარება 18 მილიმეტრია. პროექტის ღირებულება 600 000 ლარს შეადგენს.

წლების მანძილზე ამორტიზირებული და საგზაო ინფრასტრუქტურა მოშლილი იყო კოკი-ორსანტიის საავტომობილო გზაზე. გზაზე ინტენსიური მოძრაობა საფრთხეს წარმოადგენდა და ავარიულ ვითარებას უქმნიდა მოსარგებლებს.

კოკი ორსანტიის დამაკავშირებელი სარეაბილიტაციო გზის სიგრძე შეადგენს 5000 გრძივ მეტრს, სიგანე 5 მეტრს. გზის საფარის დაგების პარალელურად მიმდინარეობს სანიაღვრე არხებისა და მოსახლეობის ჭიშკრების ბილიკების მობეტონება, ტროტუარების მოწესრიგება. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის მოხმარებული თანხა 800 000 ათას ლარს შეადგენს.

პროექტები რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა. პროექტების მიმდინარეობა ორ თვეს მოიცავს და ახალ გზებზე მგზავრები უახლოეს დღეებში გაივლიან.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გამგებლის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეფცია-პროგრამა „წყალი-ეროვნული სიმდიდრე“, კონცეფციის ავტორმა პროფესორებმა პაატა გოირგაძემ და ნოდარ ჩხაიძემ წარუდგინეს.

კონცეფცია საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური სიდუხჭირიდან გამოყვანას და

საქართველოში არსებული მინისქვემა სასმელი წყლების ჩამოსხმის ინდუსტრიის შექმნას გულისხმობს. ჩამოსხმა-დაფასოების ინდუსტრიის შექმნა არსებული წყლის მარაგების 0,75 % გამოყენებას ითვალისწინებს. ეს რაოდენობა კი საშუალებას იძლევა საქართველომ ყოველწლიურად 50 მილიარდი ლიტრი დაფასოებული სასმელი წყალი აწარმოოს. პროგრამის რეალიზაცია ქვეყანას ყოველწლიურად 12 მლრდ. აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში შემოსავალს მოუტანს.

## რეგიონის ხმა

აშენდება 200-მდე წყლის ჩამოსხმა-დაფასოების ქარხანა(მინიმუმ ერთი ქარხანა რაიონში),პირველ ეტაპზე შეიქმნება 120-140 ათასი სამუშაო ადგილი, შეიქმნება განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, აშენდება ახალი პორტები და ტერმინალები, მრავალი მილიონი ლარი გამოიყოფა ტყეების გაშენება-რეაბილიტაციისთვის, მიღებული შემოსავლების რეინვესტირებით მე-10 წელს საქართველოში მაღალი ანაზრაურებით დასაქმდება 450 ათასამდე ადამიანი.

კონცეფცია-პროგრამის ავტორი პროფესორები: პაატა გიორგაძე, ზაურ ციხელაშვილი და ნოდარ ჩხეიძე, სხვა 50-მდე მეცნიერთან ერთად, თითოეულ რეგიონში განიხილავენ პროექტს და გააცნობენ საზოგადოებას. საქართველო არ არის ღარიბი ქვეყანა და დიდ სიმდიდრეს ფლობს წყლის რესურსების სახით, ამ რესურსების

კეთილგონივრულად გამოყენება კი ქვეყანას დიდ შემოსავალს და ეკონომიკურ განვითარებას მოუტანს.



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის უზრუნველყოფის კომისია, დღეს სხდომაზე შეიკრიბა და სამი ახალგაზრდა, დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ირაკლი ჯიქია, ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები თაბუკა ჯიქია და რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ედუარდ ციკოლია დააფინანსა. ახალგაზრდების ჯგუფმა საქართველოს მასშტაბით გამართულ კონკურსში, წყლის დაცვასთან დაკავშირებით, ინოვაციური, კრეატიული შემოქმედებითად დატვირთული აქტივობების განხორციელებით 16 გუნდს შორის გაიმარჯვა და ბერლინის ერთკვირიან საზაფხულო სკოლაში სწავლის უფლება მოიპოვა. ჯგუფის წევრებს, განსაკუთრებული ნიჭის

მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ტრანსპორტირების ხარჯები დაუფინანსდათ.



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ, დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა, მინისტრის მოადგილემ მამუკა ცოტნიაშვილმა გიგა ოთხოზორიას ხსოვნას პატივი მიაგეს და საფლავი მოინახულეს. დღეს გიგა ოთხოზორიას გარდაცვალებიდან მეორმოცე დღე შესრულდა. ხურჩის პირობით საზღვართან გიგა ოთხოზორია აფხაზმა მებაჟებ ვერაგულად მოკლა. მინისტრის სოზარ სუბარის განცხადებით „გიგა ოთხოზორია ოკუპაციის მსხვერპლია. ჩვენ მოვალე ვართ გვერდით დავუდგეთ გიგას ოჯახს და გავაძლიეროთ. ჩვენ ყველა პირობას შევუქმნით გიგას შვილებს რომ, ღირსეულად აღიზარდონ და ყველა პირობა ქონდეთ ღირსეულად ცხოვრების.“



ქალაქ ზუგდიდის მერიამ, არსებობის ორი წლის მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი სოციალური, ინფრასტრუქტურული, სარეაბილიტაციო, კულტურული, ეკონომიკური პროექტის განხორციელება შეძლო. 2014 წლიდან დღემდე ქალაქ ზუგდიდში გადაიხურა 26 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი და 15 კერძო სახლი, 107 ქუჩაზე მოეწყო გარე განათება, 40 ქუჩაზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა სანიაღვრე არხებს, 6 ქუჩაზე ასფალტო-ბეტონისა და რკინა-ბეტონის საფარი მოეწყო, განხორციელდა 52 შიდა გზის რემონტი. სრული რეაბილიტაცია 3 -ს, ხოლო ნაწილობრივი 2 საბავშვო ბაღს ჩაუტარდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს, აღდგა ბოტანიკური ბაღის წყალმომარაგების სისტემა, ქალაქის ცენტრალურ ბულვარში მდებარე შადრევანს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა, სრულად კეთილმოეწყო სტალინის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის შიდა ეზო, რეაბილიტაცია ჩაუტარდა რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელს. განხორციელდა ტროტუარების რეაბილიტაცია.

ეს მცირედი ჩამონათვალა იმ პროექტებისა, რომელთა განხორციელებაც შევძელით. თვითმმართველობა ხალხის მმართველობაა! ჩვენ, მიმდინარე წელსაც, თქვენი აქტიური ჩართულობით ვგეგმავთ ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის აღმშენებლობასა და განვითარებას!

**ირაკლი გომოხია**


ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი

№	სამუშაოს დასახელება	დასრულების სავარაუდო თარიღი	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	ქალაქ ზუგდიდში ჯანაშიას ქ. №15-ში ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის მშენებლობის პირველი ეტაპი	30.09.2017	9 747 000,00	მიმდინარე
2	ქალაქ ზუგდიდში ჯანაშიას ქ. 2-ში მდებარე 12 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	23.08.2016	248 088,00	მიმდინარე
3	ქალაქ ზუგდიდში დეკაბრისტების ქუჩისა და ბაგრატიონის ქუჩიდან ყურნუას ქუჩამდე ღია სანიაღვრე არხის, წულუკიძის ქუჩიდან ვაჟა-ფშაველას ქუჩამდე (ვაჟია) ღია სანიაღვრე არხის და კრილოვის და ბარნოვის ქუჩების ღია და დახურული სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია	03.08.2016	239 000,00	მიმდინარე
4	ქ. ზუგდიდში მესხიას ქუჩის ღია სანიაღვრე არხის მოწყობა-რეაბილიტაცია	26.08.2016	220 000,00	მიმდინარე

## ქალაქის ზმა

5	ქალაქ ზუგდიდში ღელე კუჩხოზონის (შარტავას ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე) ნაპირსამაგრი საყრდენი კედლების მონყობა-რეაბილიტაცია	29.07.2016	200 000,00	მიმდინარე
6	ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 57 ქუჩის გარე განათება	11.08.2016	645 450,00	მიმდინარე
7	ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტროტუარების რეაბილიტაცია	30.08.2016	565 256,00	მიმდინარე
8	ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოებისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა	30.08.2016	1 000 000,00	მიმდინარეობს ტენდერი
9	შოთა ხუბულავას ქუჩის გარე განათება	20.05.2016	108 000,20	დასრულებული
10	ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შუქნიშნის მონყობა	25.08.2016	47 000,00	მიმდინარეობს ტენდერი
11	ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუდაპეშტის ქუჩაზე გზის რკინა-ბეტონის მონოლითური საფარის და სატელევიზიო ანძის ტერიტორიაზე, რუსთაველის ქუჩის ბოლოს რკინა-ბეტონის მონოლითური გზის საფარისა და საყრდენი კედლის მონყობა	20.08.2016	77 000,00	მიმდინარეობს ტენდერი
12	ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კარტოზიასა და სერგიას ქუჩაზე ახალი ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედნების და თეთრი გიორგის ქუჩაზე ახალი ასფალტის საფარიანი მოედნის მშენებლობა	30.08.2016	173 746,00	მიმდინარეობს ტენდერი
13	ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბარამიას ქუჩაზე, ჩიქოვანის ქუჩაზე, ფაიფურის დასახლებაში, რუსთაველის ქუჩის ჩიხში, გამსახურდიას გამზ. 28-ში და ლაზის ქუჩაზე არსებული მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია	30.08.2016	142 737,00	მიმდინარეობს ტენდერი
14	ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ყუფუნისას, ქორთუას და ყაზბეგის ქუჩებზე სანიაღვრე არხების მონყობა-რეაბილიტაცია	30.08.2016	250 000,00	მიმდინარეობს ტენდერი
15	ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე, მდ. სინაზე 12 მეტრიანი ლითონის საავტომობილო ხიდის მშენებლობა	20.08.2016	39 734,00	მიმდინარეობს ტენდერი
16	ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 31 ავტო-სამანქანე გზის ასფალტო-ბეტონის საფარის ორმული შეკეთების და 21 ავტო სამანქანე გზის ხრეშოვანი საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები	30.08.2016	200 000,00	მიმდინარეობს ტენდერი





# კონფერენცია გაო-კლარჯეთში

- ✓ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების ინიციატივით, ტაო-კლარჯეთში ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღერიცხების“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოცდახუთმა მოსწავლემ და თორმეტმა მასწავლებელმა.
- ✓ პროექტში მონაწილე მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა, მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, არტანუჯი, ხანძთა, პარხალი და ოთხთა მონასტერი მოინახულეს.
- ✓ აღნიშნული პროექტით მოსწავლეებს საშუალება მიეცა დიდი წინაპრის, გიორგი მერჩულეს ცხოვრება და მოღვაწეობა კიდევ ერთხელ გაეაზრებინათ და დაეთვალთვალებინათ გამოჩენილი წინაპრის მიერ აგებული ეკლესიამონასტრები.



## მარტვილის სამონასტრო კომპლექსი

ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი



## ნინო ხეხვიაშვილის

## გაქვამომცემრობა

სიასტუ გამომცემლობაში!

წიგნი – „საბერძნულს ქართულს“

„ნინო ხეხვიაშვილის გამოცემლობა“ სულ გაქვამომცემლობაში უსთავაზავს ახალ წიგნს – „საბერძნულს ქართულს“. სადაც განთავსებულია მასალა საბერძნულის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის შესახებ. გაგაცნობთ იმ ადამიანებს, ვინც შექმნეს და შინის საბერძნულს ქართულს. ვფიქრობთ, იგი შესაბამის ადგილს დაიკავებს თქვენს საოჯახო ბიბლიოთეკაში.

წიგნი განიხილავთ  
შ. „საბერძნულს“ რედაქციიდან.  
ფასი 30 ლარი.

# უღვა (ჯაგუ) გარუჩავას ვარსკვლავი სენაკში

